ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 6 აგვისტო | 1993 №2 (49) | ფასი 70 კუპონი


„სარბიელის“ კვლავ გამოსვლასთან დაკავშირებით რედაქციამ არაერთი მილოცვა მიიღო, რისთვისაც ყველას მადლობას მოვახსენებთ!

**2** საქართველოს მთავრობა ავტობუსში

თათბირი მერიაში

**3** ბუნდესლიგა ხვალ იწყებს



ცხადაძეს კი უკვე გოლები გააქვს

**6** ქართველი ბიჭები ეგვიპტეში

წყალბურთი უწყლოდ

**7** „ქურციკების“ გალახული „ვოლაბები“



სამხრეთაფრიკული რაგბის ამბები

# ნინო სალუქვაძე

## ევროპის ჩემპიონია!

ნინომ კიდევ ერთი ოქრო შემატა თავის ისედაც მდიდარ კოლექციას! ჩეხეთში, ქალაქ ბრნოში მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში 687,6 ქულა მოაგროვა და ბევრად გაუსწრო მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ბულგარელებს — მარია გრუზდევასა (679,7) და დიანა იორგოვას (679,2).



## ჯაკარტაშიც ქართველი ლიდერობს

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მიმდინარეობს ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი. 39 მონაწილეს შორის ოთხი ქართველია: არახამია, გურიელი, ჩიბურდანიძე და ხურციძე. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით იმართება. სულ 13 ტური უნდა გათამაშდეს. სამი ტურის შემდეგ ქეთევან არახამია და შვედი პია კრამლინგი დაწინაურდნენ 3-3 ქულით.

თბილისის „დინამოსა“ და „ლინფილდის“ 18 აგვისტოს მატჩზე აკრედიტების მსურველ ჟურნალისტთა განაცხადები მიიღება 9-12 აგვისტოს. ჟურნალისტებმა მიმართონ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას (ტელეფონი: 99-94-09, 99-08-22), ან „სარბიელის“ რედაქციას (ტელეფონი: 39-48-29).

## პრესკონფერენცია ჩემპიონატის წინ



გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში შედგა პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა შეკითხვების ადრესატები ნოდარ ახალკაცი და დავით კვინიკაძე იყვნენ. პრესკონფერენცია გახსნა გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ რედაქტორმა ალექსანდრე ჯიბლაძემ. შემდეგ ჟურნალისტებმა შეკითხვები დაუსვეს ქართული ფეხბურთის თავკაცებს. მიხეილ აბაიშვილი (დრონი) დაინტერესდა სფფ-სა და უეფას ურთიერთობით, რაზეც ბატონმა ნოდარმა უპასუხა, რომ სფფ არაფერს უმალავს უეფას და ამ ორ ორგანიზაციას შორის მეტად საქმიანი ურთიერთობაა. ჯემალ ჭიპაშვილმა („ლელო“) ჰკითხა ფედერაციის პრეზიდენტს, კმაყოფილია თუ არა იგი ქართველი ჟურნალისტების მიერ ჩემპიონატის გაშუქებით. ახალკაცმა არ მისცა თავს უფლება ჟურნალისტთა კომპეტენტურობა შეეფასებინა, ამისათვის თქვენი ასოციაცია არსებობსო „მე მხოლოდ სფფ-ს ორგანოს გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ რედაქტორს შემიძლია მივცე შენიშვნები, როგორც ეს ბოლო ნომერზე გავაკეთე: ხვალ-ზეგ ჩემპიონატი იწყება, გაზეთში კი მოთამაშის პულსზეა ლაპარაკი, იმის მაგივრად რომ იყოს მწვრთნელებთან, მოთამაშეებთან, ხელმძღვანელებთან ინტერვიუები. რაც შეეხება ქართველ ჟურნალისტებს, მათ ნეგატიური მომენტები კი არ უნდა გააშუქონ, არამედ პოზიტიური. ფეხბურთელები სხვა ქვეყანაშიც კბენენ მსაჯებს და ასეთ ფაქტებს ნაკლები ყურადღება უნდა დაუთმონ ჟურნალისტებმა. შევედით ფიფაში, უეფაში, „დინამო“ ჩემპიონთა თასზე ითამაშებს, სხვადასხვა ნაკრებები მიწვეულნი არიან მრავალ ტურნირებზე — აი გასაშუქებელი მასალა. ეროვნული ჩემპიონატის ყველა სიბინძურე კი მე თქვენზე უკეთ ვიცი და ვზრუნავ მის აღმოსაფხვრელად. გინებითა და ლანძღვით ვერც მა-ყურებელს მოიყვან და ვერც ახალგაზრდობას ფეხბურთში. განა შეიძლება სპორტულმა ჟურნალისტმა ყველა ნომერში არ მისცეს ინფორმაცია „ლინფილდსა“ თუ ჩრდილოირლანდიელებზე, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი მატჩია კარზე მომდგარი?“ — დასძინა ახალკაცმა.

შემდეგ დიმიტრი მჭედლიძემ („სვობოდნაია გრუზია“) იკითხა მეხუთე ჩემპიონატის დებულების ავკარგიანობაზე. ახალკაცმა მოიყვანა სოხუმის, გალის, ოჩამჩირის, ხობის, ზუგდიდის მაგალითები, საწვავის, სასტუმროების, საკვების მძიმე საკითხები და აღნიშნა, რომ: „აღნიშნული დებულება საუკეთესო გამოსავალი იყო“. თემურ ჯაფარიძემ (ტელევიზია) ეჭვი შეიტანა დებულების იმ პუნქტის სისწორეში, სადაც საუბარია მეორე ეტაპზე ნული ქულით დაწყებაზე. ამაზე ბატონმა ნოდარმა უპასუხა, რომ: „იყო რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ვინაიდან ხუთი გუნდი აღმოსავლეთ ზონიდან იქნება, ხუთიც დასავლეთიდან, ჩვენ ისინი თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ. თუ პირველ ეტაპზე რომელიღაც გუნდმა „დაარიგა“ და მეორე ეტაპზე „აიღო“ ქულები და ჩვენთვის ეს ცნობილი გახდა, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ჩვენ დაუყოვნებლივ მოვხსნით ამ გუნდს ჩემპიონატიდან. თუ შევძელით „მარგვეთის“ ერთი წლით გამოთიშვა თასის გათამაშებიდან, არც ჩემპიონატიდან მოხსნა გაგვიჭირდება“. 18 აგვისტოს მატჩზე „ლინფილდთან“ მომზადების შესახებ ახალკაცმა განაცხადა, რომ მან უკვე გააგზავნა დასტური უეფაში, რომ ყოველნაირი უსაფრთხოება დაცული იქნება. ამის შესახებ ხშირად მსჯელობენ ქალაქის მერიაში თათბირებზე. კითხვაზე, თუ სად ითამაშებენ „მზიური“, „ამირანი“, „ოდიში“, „ცხუმი“ ახალკაცმა განაცხადა, რომ ეს გუნდები ისევ და ისევ უსაფრთხოების მიზნით თავიანთ ქალაქებში ჯერჯერობით ვერ ჩაატარებენ თამაშებს. სამწუხაროდ, უარი განაცხადეს ხობმა, წალენჯიხამ, ჩხოროწყუმ, რადგან ამ ქალაქებში დღესდღეობით არ არის ფეხბურთის სათამაშო პირობები. კითხვაზე, თუ როგორ გადაწყდება 31 აგვისტოს მე-6 ტურის [illegible] „დინამო“ — „კახეთის“ მატჩის გამართვა-არგამართვის საკითხი („დინამო“ მეორე დღეს ჩემპიონთა თასზე თამაშობს) ბატონმა ნოდარმა უპასუხა, რომ ეს თამაში გადადებულია და მსგავს შემთხვევაში საქართველოს ჩემპიონს ყოველთვის გაეწევა შეღავათი.

ბოლოს ბატონმა ნოდარმა ასეთი ფაქტი მოიყვანა: „ევროპა-92-ის შემდეგ რვავე გუნდმა 2 მილიონი შვეიცარული ფრანკი მიიღო. დსთ-ს ნაკრებში კი თამაშობდა 4 უკრაინელი, ერთი ქართველი, ერთიც ბელარუსი. რუსები არ აპირებდნენ ამ ფულის გაყოფას, მაგრამ ჩვენი საჩივრის შემდეგ, ისეთმა რესპუბლიკებმაც კი მიიღეს ფული (მაგალითად, თურქმენეთმა — 20 ათასი ფრანკი), რომელთაც არასოდეს მიუვლენიათ სსრკ ნაკრებში მოთამაშეები. სფფ-მ 100 ათასი ფრანკი მიიღო, უკრაინამ 340 ათასი. ჩვენ საკმაო ავტორიტეტი გვაქვს საფეხბურთო წრეებში, თუმცა ზოგიერთს სწყინს ჩვენი წარმატებანი: აზერბაიჯანმა მოგვილოცა ჩემპიონთა თასზე გასვლა, სომხეთმა კი... გვიჩივლა: ჩვენც რატომ არ დაგვიშვესო“.

დასასრულს ბატონმა დავით კვინიკაძემ ასეთი ფაქტი მოიყვანა: „ყველამ იცის, რომ „ცხუმი“ თამაშებს თბილისში ატარებდა. ჩვენ სოხუმელთა გუნდი მე-5 ჩემპიონატში შეგნებულად ჩავრთეთ დასავლეთ ზონაში, რადგან ჩვენც და სოხუმის ხელმძღვანელობაც მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ, ალბათ მალე დაწყნარდება ყველაფერი და „ცხუმი“ ჩემპიონატს სოხუმში დაასრულებს“.

მამუკა კვარაცხელია

თბილისი 18.08 — **დინამო**

1.09 ბელფასტი — **ლინფილდი**

4 აგვისტოს თბილისის მერიაში შედგა რიგით მესამე თათბირი მომავალი მატჩის შესახებ. კოტე გაბაშვილი თავიდან განათების პრობლემით დაინტერესდა. ამ დარგის სპეციალისტებმა დამსწრეთ მოახსენეს, რომ 15 აგვისტოსთვის განათება მზად იქნება და მისი სიმძლავრე 1000

# თათბირი მატჩის გამო

## რომელზეც მთავრობა ავტობუსით მივა

ლუქსს შეადგენს. თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული თუნდაც ეს პრობლემა, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ პროჟექტორების მომწოდებელი ტერნოპოლის ქარხანა 52 მილიონ მანეთს ითხოვს. „კუპონებს არ აიღებენ?" — იხუმრა ქალაქის მერმა.

სიტყვით გამოვიდა „ბანი და კომპანიის" პრეზიდენტი ბადრი ნინუა. მან თქვა, რომ „ბანის" არავითარი კომერციული დაინტერესება არ გააჩნია და მთელ მოგებას „დინამოს" მისცემს. საეჭვოა რაიმე მოგებაზე იყოს ლაპარაკი, როცა მატჩის ორგანიზება, რომელიც „ბანიმ" თავის თავზე აიღო, „მილიარდები და არა ერთი" ჯდება. ბადრი ნინუამ გულშემატკივრებს მოუწოდა მატჩის დაწყებამდე ერთი-ორი საათით ადრე მივიდნენ სტადიონზე — კულტურულ პროგრამას რომ თავი გავანებოთ, შეშვების დროს ყველას გაჩხრეკენ და ეს პროცედურა შეიძლება გაჭიანურდეს: „მამაჩემი რომ ადგეს საფლავიდან და თამაშზე მოვიდეს, ისიც ვერ შევა გაჩხრეკის გარეშეო". გულშემატკივრებისთვის ყველაზე მტკივნეულ პრობლემას — ბილეთს რაც შეეხება, მისი ფასი 10 აგვისტოს დადგინდება. ნინუას თქმით, უეფა წინააღმდეგია ბილეთის ფასი 1 შვეიცარულ ფრანკზე ნაკლები იყოს, ბირჟის ამჟამინდელი კურსით კი იგი 5 200 კუპონს უდრის. არა გვგონია სამ-ოთხ დღეში კუპონმა ფრანკთან შედარებით მოიმატოს, ამიტომ მატჩზე მოსვლის მსურველთ ვურჩევთ უკვე შეეჩვიონ ამ ფასს, თუმცა არც ისე საქმე, რომ ამ ფასად ნაღდად შემოგიშვებენ სტადიონზე. „კაი-კაი" ადგილებზე ბილეთი მეტიც ეღირება: დასავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის ლოჟების ბილეთის ფასი 100 000(!) კუპონია. არც ამან აგაღელვოთ — ბადრი ნინუას თქმით ყველა ასიათასიანი ბილეთი უკვე გაყიდულია(!). გაყიდული ყოფილა 20 000 ლატარიის ბილეთიც (მისი ფასი 10 დოლარია). გათამაშდება ერთი „მერსედესი", ორი BMW, ოთხი „ვოლგა", და ორი „სამარა", აგრეთვე 2 ათასი ცალი ჭურჭლის კომპლექტი. ლატარიის ორგანიზატორები ვარაუდობენ მთელი მოგება „დინამოს" მისცენ, მაგრამ თენგიზ სიგუას არაფრით არ სურს მოუხსნას ამ გათამაშებას 32 პროცენტიანი ბეგარა. ასეთ შემთხვევაში ლატარიის გათამაშებას აზრი არა აქვსო — თქვა ნინუამ.

ვინც სტადიონზე მანქანით მოსვლას აპირებს, შეუძლია თავიდან ამოიგდოს ეს აზრი. სტადიონის ტერიტორიაზე მატჩის ორგანიზატორები ოცდაათამდე მანქანის შეშვებას აპირებენ, თუმცა ეს რიცხვიც დაიწუნა კოტე გაბაშვილმა და თქვა: თუ მანდ მთავრობის წევრებს გულისხმობთ, ჩვენ მანქანებით არ მოვალთ, ერთ ავტობუსში ჩავჯდებით და ისიც გვეყოფაო". ქალაქის მერი თავად ფეხით აპირებს მოსვლას. მართლაც რომ მისაბაძი მაგალითია.

შემდეგი თათბირი მომავალ ოთხშაბათს გაიმართება.

ზურაბ მეძველია

*

როგორც შევიტყვეთ, „ლინფილდის" ფეხბურთელები თბილისს 15 აგვისტოს გამოემგზავრებიან ავიაკომპანია „ორბის" თვითმფრინავით. „ორბმა" მოუგო „აეროფლოტს", რომელიც 50 ათას დოლარს სთხოვდა ჩრდილოირლანდიელებს, „ორბი" კი მხოლოდ 48 ათასს დაჯაბულდა. „ლინფილდთან" ერთად წამოვა ირლანდიის „შელბურნიც", რომელიც ლვოვში დარჩება თასების თასზე „კარპატთან" სათამაშოდ.

*

„დინამოს" დაშვებამ ჩემპიონთა თასზე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. როგორც მოსკოვის „ფუტბოლნი კურიერს" ერევნიდან შეატყობინეს, „სომხეთში განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ უეფას ექსპერტთა ჯგუფი მხოლოდ თბილისს ეწვია და ერევნამდე ველარ ჩააღწია". აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციიდან კი ჯერ იყო და ტელეფონით მიულოცეს ქართველ კოლეგებს, მერე კი ტელეგრამაც აფრინეს: აზერბაიჯანის საფეხბურთო ოჯახის სახელით გილოცავთ ამ დიდ წარმატებასო. თავად ბაქოში კი უეფადან ასეთი ტელეგრამა მიიღეს: „სიხარულით გაცნობებთ, რომ ლიტვის გუნდები დაშვებულნი არიან ევროტურნირებზე"... რას იზამ, ხანდახან უეფაც ცდება.

საქართველოს ჩემპიონატის წინ

# „შევარდენი" უყიზილაშვილოდ

„შევარდენი 1906"-მა საწვრთნელი შეკრება თბილისში გაიარა. გუნდის ნახევარმცველის **კახი გოგიჩაიშვილის** დახმარებით შევიტყვეთ „შევარდენში" მომხდარი ცვლილებების შესახებ.

— გუნდი საგრძნობლად შეიცვალა. იგი დატოვა წამყვან მოთამაშეთა ჯგუფმა. დევაძე და მაჭავარიანი ფოთის „კოლხეთში" გადავიდნენ, ნემსაძე — თბილისის „დინამოში". „შევარდენი" დატოვეს აგრეთვე ჩადუნელმა, მინაშვილმა, სამხარაძემ, კოპალეიშვილმა, მაგრამ ყველაზე დიდი დანაკლისი ჩვენთვის მაინც დავით ყიზილაშვილის წასვლა იყო. დათო კვიპროსს გაემგზავრა და რამდენადაც ვიცი, ნიქოზიის „ომონიაში" ითამაშებს.

**— იმედია, შევსებაც ღირსეული მიიღეთ.**

— მეხუთე ჩემპიონატში ჩვენს გუნდში თამაშის სურვილი გამოთქვეს ზუგდიდელებმა გელა კვიტატიანმა და ზაზა ჯანაშიამ, გიორგი ნადირაძემ („მარგვეთი"), ანზორ შურღაიამ და მეკარე გია ჭანტურიამ (ორივე „სამტრედია"), რუსთაველმა ზაზა ბაკურაძემ და მამუკა ფანცულაიამ, რომელსაც არ უთამაშია ბოლო სეზონში.

**— გუნდის ხელმძღვანელობა ხომ არ შეცვლილა?**

— არა. გუნდს კვლავინდებურად მურთაზ ხურცილავა ხელმძღვანელობს, რომელიც მისთვის ჩვეული მონდომებითა და პროფესიონალიზმით ატარებს ვარჯიშებს.

**— მიზნად რას ისახავთ მეხუთე ჩემპიონატში?**

— პირველ ეტაპზე ხუთეულში მოხვედრას, მერე კი ალბათ ისევ მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ.

# მაღარო გაჩერდა, „მაღაროელი" მაინც იბრძოლებს!

ჭიათურის „მაღაროელმა" ... რშან ღირსეულად მოიპოვა უმაღლესი ჯგუფის საგზური, თუმცა... ისევ პირველ ჯგუფში დარჩა. თუმცა სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია თამაშის ხარისხი — ამბობს კლუბის პრეზიდენტი პაატა დათეშიძე.

**— რა არის ახალი გუნდში სეზონის წინ?**

— გავუშვით ტეფნაძე და კილურაძე. ... ხარ სოხაშვილს კი კონტრაქტი ჯერ არ გა...ლია ჩვენთან, მიუხედავად ამისა, იგი წა...ლა გუნდიდან. ოჩამჩირიდან ველოდებით მეკარე მიქაიას. მოვიწვიეთ დავით რუხაძე და ნიკა ხელაძე (ქუთაისიდან) და ჩვენი თანაქალაქელი ზვიად სამხარაძე.

**— მეხუთე ჩემპიონატის დებულებას როგორ შეაფასებდით?**

— ძალიან უარყოფითად. ჩვენთვის ცნობილი გახდა უფროს მწვრთნელთა შეკრების შემდეგ, რომ ექვს-ექვსი საუკეთესო გუნდი გავიდოდა შემდეგ წრეში და ქულები შერჩებოდათ. პირიქით კი მოხდა. როგორ შეიძლება მოპოვებული ქულების ჩამორთმევა?

**— ჭიათურაში რა სიტუაციაა?**

— მაღარო გაჩერდა, ეს კი ქალაქის პარალიზებას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ჭიათურელები იმედით ელიან ახალ სეზონს. მშვიდობა თუ იქნა, ყველაფერს ეშველება!

# მხოლოდ «კოლხეთი 1913»!

**სოსო ფილიას** ხელში ფოთის „კოლხეთი 1913" სამი სეზონის განმავლობაში ხუთეულში ხვდებოდა და მხოლოდ მეოთხე ჩემპიონატში დათმო ოდნავ პოზიციები. მეხუთე ჩემპიონატში ფოთელმა მწვრთნელმა, რომელსაც წაგება-მოგების შემთხვევაში მუდამ ჯენტლმენურად ეჭირა თავი, ამპლუა შეიცვალა — იგი გუნდის ტექნიკური დირექტორი გახდა.

**— ბატონო სოსო, უპირველეს ყოვლისა, თქვენი გადადგომის მიზეზი გვაინტერესებს.**

— ჩემი და კლუბის პრეზიდენტის დავით კუპრეიშვილის საერთო აზრი ასეთი იყო: ერთი სეზონის განმავლობაში უნდა ჩამოვშორებოდი მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს. ახლა გუნდს გიგლა იმნაძე უთავკაცებს.

**— რა ცვლილებები მოხდა გუნდში?**

— ფეხბურთს თავი დაანებეს შამათავამ და მიქავამ. ს...ში გადავიდნენ თვარაძე, ქობალია, იური სიჭინავა, ქაშიბაძე და ბაჯალაძე. სამაგიეროდ მივიღეთ შევსება: „შევარდენიდან" — დევაძე და მაჭავარიანი, „ალაზნიდან" — ცომაია, „ტორპედოდან" — დარასელია, „გურიიდან" — გია ჩხაიძე, „მარგვეთიდან" კი დაგვიბრუნდნენ ჩვენი ბიჭები ივანე ჯუღელი და გია გიგატაძე.

**— ამდენი ფეხბურთელის გადმობირებას მყარი ფინანსური ბაზა დასჭირდებოდა.**

— კლუბის პრეზიდენტი დავით კუპრეიშვილი ამავდროულად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაშა-გიორგის" პრეზიდენტიცაა. ეს საზოგადოება გახდა კლუბის მეპატრონე და მისი მყარი ფინანსური მდგომარეობის გარანტი.

**— ახლა მოდაშია გუნდების სახელების შეცვლა. ხომ არავის მოსვლია თავში აზრად კლუბისთვის ეწოდებინა „ლაშა" ან „გიორგი" ან კიდევ სხვა რამ?**

— არავითარ შემთხვევაში. ფოთელთა აზრი ასეთია: იყო, არის და იქნება „კოლხეთი 1913".

**— ფოთში რა მდგომარეობაა?**

— ამ ომის კვალობაზე ფოთში სიმშვიდეა. ფოთელები მოუთმენლად ელიან ჩემპიონატის დაწყებას.

**— მეხუთე ჩემპიონატის დებულებაზე რა აზრის ხართ?**

— მე მომხრე ვიყავი, ე.წ. „ოქროს ქულებით" შესულიყვნენ გუნდები ხუთეულში. პირველი ეტაპის ქულების გაუქმება გამოიწვევს იმას, რომ ლიდერები ერთ-ორ გუნდს „გადაიყვანენ" ხუთეულში.

# გაოგნებული დამკვირვებლები

ადიკ დურსუნიშისა და ენვერ თოლორდავას ცხოვრება ოჩამჩირის „ამირანის" გარეშე ძნელი წარმოსადგენია. გამოტოვებულ მეოთხე ჩემპიონატის მსვლელობაში ოჩამჩირემ გმირულად გადაიტანა გადამთიელთა უამრავი შემოტევა. ოჩამჩირის სტადიონზე სამი ჭურვი ჩამოაგდო რუსმა მფრინავმა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა ენვერ თოლორდავამ და ტექნიკურმა დირექტორმა ადიკ დურსუნიშმა საკუთარი ხელით აკრიფეს ჭურვის ნამსხვრევები და სამი ურიკა დატვირთეს რუსების ამ საჩუქრით. ომის დღეებში ქალაქის თავდაცვასთან ერთად ისინი სტადიონზეც ზრუნავდნენ, ახლა კი ბიჭების შეგროვებას შეუდგნენ „ამირანის" შესავსებად.

**— ბატონო ადიკ, სად ჩაატარებთ თამაშებს?**

— ფოთში, თუმცა ოჩამჩირის სტადიონი მზადაა ჩემპიონატისთვის. არ მინდა ტრაბახში ჩამომართვათ, მაგრამ ჩვენნაირი მინდორი ბევრს არ ექნება.

**— მოახერხეთ გუნდის დაკომპლექტება?**

— ყველა ოჩამჩირელი დაუბრუნდა კლუბს, ერთი-ორი კაცის გარდა. არ ჩამოსულა ლურწკაია, რომელიც შარშან „ცხუმში" გამოდიოდა. ბაბუაძე „მარგვეთშია", გოგიტიძე მოსკოვში იმყოფება. ტრუყალიოვი რუსეთში გადასახლდა. ვარჯიშობს ჯოჯუა, რომელიც კარგა ხანს ტყვარჩელში იმყოფებოდა. დავიმატეთ ვეტერანები: ჩხვირკია, როსტობაია, აფენდოპულო, როლანდ გუჩუა.

**— ოჩამჩირელებს გული ხომ არ გაუტეხა ომმა?**

— პირიქით, ვაჟკაცურად დგანან, ერთი სული აქვთ, როდის დაიწყება ჩემპიონატი.

**— შეკრებას სად გადიხართ?**

— ოჩამჩირეში, ჩვენ სტადიონზე.

—?!

— თქვენ სამხრივი კომისიის დამკვირვებელთა სახეები უნდა გენახათ! თვალები შუბლზე აუვიდათ, როცა ნახეს სტადიონზე ჩვენი ბიჭების ვარჯიში. ინფორმაცია ისეთი ჰქონიათ, თითქოს ოჩამჩირეში ქვა-ქვაზე არ იყო დატოვებული.

**— მთავარი მწვრთნელი ბონდო კაკუბავაც დაბრუნდა?**

— ბონდოც დაგვიბრუნდა და მისი უმცროსი ბიჭი ნიკაც. უფროსი ღემური კი ქობულეთის „შუქურაში" გამოვა. ბონდოს თამაზ ბუანია მიეხმარება.

**— კლუბის პრეზიდენტის, ენვერ თოლორდავას ვაჟი ლევანი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატიც იყო, ტრავმის შემდეგ როგორ არის?**

— ლევანი ახლა იმაზე უკეთეს ფორმაშია, ვიდრე მაშინ, როცა ნაკრებში იწვევდნენ. მან მოსკოვში გაიკეთა ოპერაცია და ახლა გუნდთან ერთადაა.

**— მიზანი წელსაც ადგილის შენარჩუნებაა?**

— არა, გადაწყვიტეთ ხუთეულისთვის ვიბრძოლოთ.

მამუკა კვარაცხელია

# მსაჯებს გოლები გააქვთ

ოცდამეთხუთმეტე სკოლის სტადიონზე მაშინ მივედი, როცა მსაჯები ფეხბურთს თამაშობდნენ. იმდენი ჭიჭყინი და ხმაური ისმოდა მინდვრიდან, რომ ძალზე ლოიალური არბიტრიც კი უამრავ ყვითელ და წითელ ბარათს დაარიგებდა. რაც შეეხება სათამაშო კლასს, იგი საკმაოდ მაღალი გახლდათ, ოღონდ მსაჯები მრავალ საგოლე მომენტს აფუჭებდნენ, განსაკუთრებით კი ფიფას არბიტრი თამაზ ლაცაბიძე, რომელსაც ამ თამაშში მარცხენა გარეშარბის ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. კარლო ყრუაშვილი და ილია ბოჭორაძე ღიმილით ადევნებდნენ თვალს ამ ეგზოტიურ მატჩს. მათთან საუბარში შევიტყვე, რომ მსაჯთა ახლადდაარსებულ ასოციაციას 22 ივლისიდან დაუწყია ათდღიანი შეკრება. უშუალოდ შეკრების შესახებ გავესაუბრე ასოციაციის ახალგაზრდა მსაჯთა მომზადების კომიტეტის თავმჯდომარეს **ელგუჯა სილაგავას**:

— 22 ივლისიდან დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. 1 აგვისტოს ჩატარდა ნორმატივების ჩაბარება. საგანგებო შერჩევის შემდეგ დავამტკიცეთ 20 მსაჯი, რომლებიც პირველ ლიგას მოემსახურებიან: შოთა ხანიაშვილი, თემურ ლორთქიფანიძე, მერაბ მალაღურაძე, ვოვა ეჯიბია, მერაბ ჰელიძე, ალექსანდრე შილაკაძე, გიორგი ხეჩუაშვილი, ლევან მგელაძე, ელგუჯა სილაგავა (თბილისი), სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი), მალხაზ კობიაშვილი (დუშეთი), თამაზ ლაცაბიძე (სურამი), თემურ მაჭარაძე (ხონი), შალვა ბერიძე (ასპინძა), ჯემალ წერეთელი (რუსთავი), გრიგოლ მიქაუტაძე (ქუთაისი), მერაბ ჯულაყიძე (სამტრედია). შევარჩიეთ თერთმეტი სათადარიგოც, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ: ნუგზარ კილაძე, სერგო შალამბერიძე, ვახტანგ ჩოჩიშვილი, ტრისტან ნიშნიანიძე, თამაზ კურტანიძე (თბილისი), იოსებ კახიანი, როლანდ გარნოვსკი (სამტრედია), გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი), პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი), ალეკო წერეთელი (ჭიათურა), ვლადიმერ ტოროსიანი (სოხუმი). ახალგაზრდა მსაჯთა მოზიდვისათვის სექტემბრიდან ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე გავხსნით მსაჯთა მოსამზადებელ კურსებს.

შემდეგ კითხვების ადრესატი მსაჯთა ასოციაციის გენერალური მდივანი **რეზო მგელაძე** გახდა.

**— რა სიახლეებია მსაჯობაში?**

— ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ასოციაცია და ეს მარტო სახელის გამო არ გაგვიკეთებია. უპირველეს ყოვლისა, მსაჯებს ანაზღაურება გავუზარდეთ - თითო თამაშზე ისინი 50 000 კუპონს მიიღებენ. მომავალში თამაშები იქნება დიფერენცირებული და ზოგიერთი მატჩი მეტადაც შეფასდება.

**— კომისრებს ისევ ფედერაცია დანიშნავს?**

— დიახ, თუმცა პრინციპულ თამაშებზე ჩვენც მივავლენთ კომისრებს.

**— ძალიან კარგი, რომ გაიზარდა მსაჯთა ანაზღაურება, მაგრამ მატჩებზე არ გამოცხადების ან სხვა დარღვევების შემთხვევაში როგორ იქნება საქმე?**

— თუ მსაჯი არასაპატიო მიზეზით გააცდენს თამაშს, მას დაედება ჯარიმა 200 ათასი კუპონის ოდენობით და იგი მოიხსნება მსაჯობიდან. თუ თამაშის წინა დღეებში შეგვატყობინებს, რომ არ შეუძლია დანიშნულ თამაშზე მსაჯობა (რა თქმა უნდა, ისევ არასაპატიო მიზეზით), მაშინ იგი 100 ათასი კუპონით დაჯარიმდება. თუ მსაჯი დაბალ ნიშანს მიიღებს, მას არ მიეცემა კუთვნილი 50 ათასი კუპონი.

**— მსაჯთა დაცვის საკითხი როგორ იქნება?**

— ალბათ მალე მივალთ იქამდე, რომ რაიონებში მსაჯს დახვდებიან იქაური პოლიციის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხს აგებენ მსაჯთა უსაფრთხოებაზე მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ. თუ მსაჯი გაილახა, მაშინ დამნაშავე კლუბი დისკვალიფიკაციის გარდა გადაიხდის ჯარიმას ფეხბურთის ფედერაციაში, თანხის 70 პროცენტი კომპენსაციის სახით დაზარალებულ მსაჯს გადაეცემა.

**— ზემოთთქმული იძლევა იმის გარანტიას, რომ მსაჯები პატიოსნად იმსაჯებენ?**

— ჩვენ ასოციაცია იმიტომ შევქმენით, რომ ვებრძოლოთ კორუფციას, ავამაღლოთ მსაჯობის დონე, მაგრამ ალბათ არ არსებობს გუნდის წარმომადგენელი თუ გულშემატკივარი, რომელიც წაგებაში ბრალს არ სდებდეს მსაჯს. ჩვენ კიდევ მრავალი საინტერესო წინადადება გვაქვს.

მამუკა კვანტალიანი

გერმანიის ჩემპიონატი

# კახი ცხადაძე:
## მეორე სეზონი ბუნდესლიგაში

დღეს მიონხენგლადბახში, დორტმუნდსა და ჰამბურგში იწყება გერმანიის 83-ე ჩემპიონატი. 1903 წელს გერმანელებმა პირველად გამოავლინეს ჩემპიონი („ლაიპციგი") და ქვეყნის ტერიტორიის გადიდების, დაპატარავებისა თუ დაყოფის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდნენ ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებას. უჩემპიონოდ გერმანია არც მეორე მსოფლიო ომის წლებში დარჩენილა. საინტერესოა, რომ 1941 წელს ანექსირებული ავსტრიის „რაპიდმა" ყველა ადგილობრივ გუნდს აჯობა და თავისი სახელი სამუდამოდ დატოვა გერმანიის ფეხბურთის ისტორიაში. 1963 წელს შეიქმნა ბუნდესლიგა, რომელშიც მხოლოდ პროფესიული გუნდები თამაშობენ. ამ დროიდან გერმანიის ლიგა ევროპის უძლიერეს ლიგათა რიცხვშია.

შარშანდელი სეზონიდან ჩვენი ინტერესი ბუნდესლიგისადმი ერთობ გაძლიერდა: 1993 წლის იანვრიდან ფრანკფურტის „აინტრახტში" თამაშობს საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი კახი ცხადაძე. მან ურიგოდ როდი ჩაატარა მეორე წრე. ამის დასტურია ისიც, რომ ამ ზაფხულს ცხადაძეს კონტრაქტი გაუგრძელეს და გასამრჯელოც გაუორმაგეს.

ჩემპიონატისთვის მზადება გუნდმა ავსტრიულ ალპებში დაიწყო. ამ დროს გუნდის პატრონები ვაჭრობით იყვნენ გართულნი და მალე „აინტრახტმა" სოლიდური შევსება მიიღო პოლონელი იან ფურტოკისა („ჰამბურგი") და მაურიციო გაუდინოს („შტუტგარტი") სახით. ორივე ფეხბურთელი 5 მილიონ 200 ათასი მარკა დაჯდა. ცხადაძის თქმით, გუნდი დიდ იმედებს ამყარებს მათზე. ახალი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით გუნდმა პირველი თამაშები პარიზში გამართულ ოთხთა ტურნირზე ჩაატარა, სადაც მესამე ადგილი მოიპოვა, დაამარცხა რა ბრაზილიის „ფლუმინენსე" 4:1. წარუმატებელი იყო ტურნირი გერმანიაშიც, სადაც „აინტრახტმა" ბოლო ადგილი დაიკავა, თუმცა ცხადაძის აზრით, საგანგაშო არაფერია — ამ ტურნირებზე გუნდი ოპტიმალურ შემადგენლობას ირჩევდა. სასიხარულოა, რომ ბოლო საკონტროლო მატჩებში ჩვენმა ფეხბურთელმა გოლების გატანაც დაიწყო. ასე რომ, მალე, ალბათ, ბუნდესლიგის ისტორიაში ქართველის მიერ გატანილი გოლიც შევა. ერთ-ერთ ბოლო საკონტროლო მატჩში დორტმუნდის „ბორუსიის" წინააღმდეგ ცხადაძემ იტალიიდან ახლახან დაბრუნებული კარლ-ჰაინც რიდლე ჩაკეტა და პრესის კარგი შეფასება დაიმსახურა. ჟურნალ „კიკერის" აზრით, ცხადაძეს გარანტირებული აქვს ძირითად შემადგენლობაში ადგილი. ამ ჟურნალმა „აინტრახტის" შემადგენლობა ასე ჩამოაყალიბა: შტაინი, ცხადაძე, ბინცი, როტი, ვებერი, ფალკენმაიერი, ბაინი, გაუდინო, ბომერი, ფურტოკი, იებოა.

ბუნდესლიგის პირველი ტური, როგორც მოგახსენეთ, დღეს იწყება. თამაშობენ „ბორუსია" მიონხენგლადბახი — „აინტრახტი", „ბორუსია" დორტმუნდი — „კარლსრუე", „ჰამბურგი" — „ნიურნბერგი". ხვალ ხუთი მატჩია: „ბაიერნი" — „ფრაიბურგი", „ვატენშაიდი" — „შალკე 04", „კიოლნი" — „კაიზერსლაუტერნი", „დუისბურგი" — „ბაიერი" ლევერკუზენი, „ლაიპციგი" — „დინამო" დრეზდენი. კვირას ჩემპიონატში ჩაებმება გასული წლის ჩემპიონი „ვერდერი", რომელიც „შტუტგარტს" მიიღებს.

გთავაზობთ გუნდებში ახლადმოსული და გუნდიდან წლეულს წასული ფეხბურთელების სიას გადახდილ თანხასთან ერთად (ზოგიერთი თანხა უცნობია როგორც ჩვენთვის, ასევე გერმანულ ჟურნალ „ფუსბალ ექსტრასთვისაც", საიდანაც ამ სიას გთავაზობთ).

**„ვერდერი":** წავიდა შტეფან კონი (კიოლნი). ფეხბურთს თავი მიანებეს კლაუს ალოფსმა და ტომას შააფმა.

**„დინამო":** მოვიდნენ სტანისლავ ჩერჩესოვი (მოსკოვის „სპარტაკი"), მარეკ პენკსა (აინტრახტი), მარკუს კრანცი (ურდინგენი, 800 ათასი), ოლაფ მარშალი (ადმირა ვაკერი, 850 ათასი). წავიდნენ ტორსტენ გუტშოვი (გალათასარაი), ალექსანდერ ციკლერი (ბაიერნი), იენს მელციგი (ლევერკუზენი).

**„ვატენშაიდი":** მოვიდნენ ივიცა იოქიჩი (შალკე 04, 50 ათასი), შტეფან შტუგერი (აინტრახტი, 450 ათასი). წავიდა რუსი ანდრეი სიდელნიკოვი.

**„ბაიერნი":** მოვიდნენ ალექსანდერ ციკლერი (დინამო), მარსელ ვიტეჩეკი (კაიზერსლაუტერნი, 5,5 მილიონი), ალექსანდრე კარატაევი (მოსკოვის „ტორპედო"). წავიდა ტომას ბერტოლდი (შტუტგარტი).

**„ნიურნბერგი":** მოვიდა ალან სუტერი (გრასჰოპერსი, 350 ათასი).

**„ჰამბურგი":** მოვიდნენ ანდრეას სასენი (ურდინგენი, 800 ათასი), სტივ ტოფტინგი (დანიის „ორჰუსი", 550 ათასი), მაიკლ კოსტნერი (ზაარბრიუკენი, 1 მილიონი), ვალდას ივანაუსკასი (ვენის „აუსტრია", 1,3 მილიონი). წავიდნენ იან ფურტოკი (აინტრახტი), ვალდემარ მატისიკი (ვუპერტალი).

**„კიოლნი":** მოვიდნენ შტეფან კონი (ვერდერი, 1,55 მილიონი), ტონი პოლსტერი (რაიო ვალეკანო). წავიდნენ პიერ ლიტბარსკი, ფრანკ ორდენევიცი (ორივე იაპონიის „ფურუკავა"), უვე ფუხსი (კაიზერსლაუტერნი), როჯერ ნილსენი (ნორვეგიის „ვიკინგი").

**„კარლსრუე":** მოვიდნენ სლავენ ბილიჩი (სპლიტის „ჰაიდუკი", 1 მილიონი), კრისტიან ფლინდტბერგი (დანიის „ოლბორგი").

**„ლაიპციგი":** მოვიდა ოლეგ კუზნეცოვი (გლაზგო რეინჯერსი). წავიდა გენადი გრიშინი (მოსკოვის „ტორპედო").

**„ბორუსია" დორტმუნდი:** მოვიდნენ კარლ-ჰაინც რიდლე (ლაციო), შტეფენ ფრეინდი (შალკე 04, 3,25 მილიონი).

**„ფრაიბურგი":** მოვიდნენ ალტინ რაკლი (ალბანეთი), ოსტინ ბერი (კოსტა რიკა), პესხალის სერეტისი (საბერძნეთი).

**„ბორუსია" მიონხენგლადბახი:** მოვიდა ჰეიკო ჰელრიხი (ლევერკუზენი, 1 მილიონი).

**„დუისბურგი":** მოვიდნენ პეტერ კოზლე (გრასჰოპერსი, 200 ათასი), იან ივარ იაკობსენი (შვეიცარიის „იანგ ბოიზი"). წავიდა იაროსლავ არაშკევიჩი (პოლონეთი).

**„ბაიერი" ლევერკუზენი:** მოვიდნენ ბერნდ შუსტერი (მადრიდის „ატლეტიკო"), პაულუ სერჟიო (სან პაულუ, 2,4 მილიონი). წავიდა ჰეიკო ჰელრიხი (მიონხენგლადბახი).



კახი ცხადაძე „აინტრახტის" გუნდურ ფოტოზე

**„შტუტგარტი":** მოვიდნენ ტორსტენ კრახტი (ლაიპციგი, 750 ათასი), ტომას ბერტოლდი (ბაიერნი, 800 ათასი), დუნგა (ფიორენტინა). წავიდა მაურიციო გაუდინო (აინტრახტი).

**„შალკე 04":** მოვიდა ირჟი ნემეცი (პრაღის „სპარტა", 650 ათასი). წავიდა შტეფენ ფრეინდი (დორტმუნდი).

**„კაიზერსლაუტერნი":** მოვიდნენ ჩირიაკო სფორცა (გრასჰოპერსი, 2,4 მილიონი), ანდრეას ბრემე (სარაგოსა). წავიდნენ მარსელ ვიტეჩეკი (ბაიერნი), ტომას დული (აშშ-ს ნაკრები).

მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონატი 28 ივლისს დაიწყო. აქ თამაშობს ჩვენთვის კარგად ცნობილი იენის „კარლ ცაისი". საინტერესოა, რომ კვლავ მის რიგებშია ამ წლის იურგენ რააბი, რომელმაც ჯერ კიდევ თასების თასის 1981 წლის ფინალში ითამაშა „დინამოს" წინააღმდეგ.

გიგა კობახიძე.



1993 წელი. „ვერდერი" მესამედ ზეიმობს ბუნდესლიგის ჩემპიონობას

### ბუნდესლიგის ჩემპიონები

| | |
|---|---|
| 1964 | „კიოლნი" |
| 1965 | „ვერდერი" ბრემენი |
| 1966 | „მიუნხენ 1860" |
| 1967 | „აინტრახტი" ბრაუნშვაიგი |
| 1968 | „ნიურნბერგი" |
| 1969 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1970 | „ბორუსია" მიონხენგლადბახი |
| 1971 | „ბორუსია" მიონხენგლადბახი |
| 1972 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1973 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1974 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1975 | „ბორუსია" მიონხენგლადბახი |
| 1976 | „ბორუსია" მიონხენგლადბახი |
| 1977 | „ბორუსია" მიონხენგლადბახი |
| 1978 | „კიოლნი" |
| 1979 | „ჰამბურგი" |
| 1980 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1981 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1982 | „ჰამბურგი" |
| 1983 | „ჰამბურგი" |
| 1984 | „შტუტგარტი" |
| 1985 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1986 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1987 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1988 | „ვერდერი" ბრემენი |
| 1989 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1990 | „ბაიერნი" მიუნხენი |
| 1991 | „კაიზერსლაუტერნი" |
| 1992 | „შტუტგარტი" |
| 1993 | „ვერდერი" ბრემენი |

### 1992-93 სეზონის შედეგები

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 19 | 10 | 5 | 63-30 | 48 |
| ბაიერნი | 18 | 11 | 5 | 74-45 | 47 |
| აინტრახტი | 15 | 12 | 7 | 56-39 | 42 |
| ბორუსია დორტმ. | 18 | 5 | 11 | 61-43 | 41 |
| ბაიერი ლევერკ. | 14 | 12 | 8 | 64-45 | 40 |
| კარლსრუე | 14 | 11 | 9 | 60-54 | 39 |
| შტუტგარტი | 12 | 12 | 10 | 56-50 | 36 |
| კაიზერსლაუტერნი | 13 | 9 | 12 | 50-40 | 35 |
| ბორუსია მიონხ. | 13 | 9 | 12 | 59-59 | 35 |
| შალკე 04 | 11 | 12 | 11 | 42-43 | 34 |
| ჰამბურგი | 8 | 15 | 11 | 42-44 | 31 |
| კიოლნი | 12 | 4 | 18 | 41-51 | 28 |
| ნიურნბერგი | 10 | 8 | 16 | 30-47 | 28 |
| ვატენშაიდი | 10 | 8 | 16 | 46-67 | 28 |
| დინამო | 7 | 13 | 14 | 32-49 | 27 |
| ბოხუმი | 8 | 10 | 16 | 45-52 | 26 |
| ბაიერი ურდინგენი | 5 | 13 | 16 | 37-71 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 5 | 13 | 16 | 37-71 | 23 |

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" ახალი მწვრთნელი, არგენტინელი ოსვალდო არდილესი დაინტერესებულია „იფსვიჩ თაუნში" მოთამაშე ქეისონ დიზელით. მოლაპარაკება ფეხბურთელის ყიდვის თაობაზე ჩიხში შევიდა: „იფსვიჩი" 2 მილიონ გირვანქას ითხოვს, „ტოტენჰემი" კი ბევრად ნაკლებს სთავაზობს. ასეთ სიტუაციაში ინგლისში საბოლოო სიტყვის უფლება ტრანსფერის ტრიბუნალს ეკუთვნის.

**რუმინეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მირჩა რადულესკუ დათანხმდა, რათა ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელოს ეგვიპტის ეროვნულ გუნდს. ბოლო სეზონი რადულესკუ ბუქარესტის „რაპიდს" წვრთნიდა და გუნდს უეფას თასის საგზური მოუტანა.**

მაზეგ ფინეთის დედაქალაქში იწყება ოთხდღიანი სემინარები ახალგაზრდულ და ჭაბუკ ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებისათვის, რომელსაც უეფა ატარებს. საქართველოდან სემინარში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებიან 16 წლამდე ნაკრების მწვრთნელი გაიოზ დარსაძე და 18 წლამდე ნაკრების მწვრთნელი თამაზ კოსტავა. სემინარს წარუძღვება ტოტალური ფეხბურთის მამად წოდებული რინუს მიხელსი. ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი სპეციალისტები და ფეხბურთელები, მათ შორის შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი ენდი როქსბურგი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა მეკარე ზეპ მაიერი და სხვები.

**ფინანსურმა გაჭირვებამ მოიცვა ევროპის საფეხბურთო სამყარო. „ბენფიკა" რომ „ბენფიკაა", მასაც გაუჭირდა და ვალებში ჩაეფლო. კარგა ხანია, მოთამაშეებს ხელფასი არ აუღიათ. კლუბი გაკოტრების პირასაა. „მარსელში" გადასულ პაულუ ფუტრეს გასულ კვირას კიდევ ორი წამყვანი ნახევარმცველი დაემატა — აადეკუ და პაულო სოუზა, რომლებიც კლუბმა თავის მთავარ მეტოქეს, ლისაბონის „სპორტინგს" მიჰყიდა. ვალი მაინც დიდ თანხას — 23 მილიონ დოლარს შეადგენს. პორტუგალიის ფეხბურთის თავკაცები ჯერჯერობით თავს იკავებენ რაიმე ზომების გატარებისაგან. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კი უსახსრობის გამო ქვემო ლიგების რვა გუნდს ჩამოართვა პროფესიული სტატუსი და სამოყვარულო ლიგაში ჩამოაქვეითა. ამ გუნდებს შორის არიან სიცილიური კლუბები „კატანია", რომელიც 10 წლის წინ სერია A-ში თამაშობდა და „მესინა", სადაც შვიდი წელი ტოტო სკილაჩიმ დაჰყო. იტალიაში ამჟამად 128 პროფესიული კლუბი დარჩა.**

ხვალ იწყება შოტლანდიის ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს. ბოლო ხუთი წლის ჩემპიონი „რეინჯერსი" პირველ ტურში „ჰართსს" მიიღებს. ჩემპიონის შემადგენლობას გააძლიერებს „დანდი იუნაიტედიდან" შოტლანდიისთვის სარეკორდო თანხად შეძენილი დანკან ფერგიუსონი. ფეხბურთის ფედერაციას განზრახული აქვს ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა შეამციროს, ამიტომ სეზონის ბოლოს გავარდება სამი გუნდი, ხოლო მეორე ლიგიდან მხოლოდ ერთი შემოვა.

**გერმანიის თასის პირველ ეტაპზე მიუნხენის „ბაიერნმა" 5:1 მოუგო „ვერდერის" სამოყვარულო გუნდს. სამი გოლი ბრუნო ლაბადიამ გაიტანა, თითო-თითო — ადოლფო ვალენსიამ და ლოთარ მათეუსმა.**

# ფეხბურთის რუკასთან

სამშაბათ დილას ავტოავარიაში მოყვა იტალიის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი, „მილანის" თავდასხმელი, 24 წლის ჯანლუიჯი ლენტინი. იგი გენუიდან, სადაც „მილანმა" ამხანაგური მატჩი ითამაშა, მილანს ბრუნდებოდა საკუთარი „პორშით". ერთ-ერთ მოსახვევში ლენტინიმ ვერ დაიმორჩილა საჭე და მანქანა თხრილში გადავარდა. თავად ფეხბურთელი მანქანიდან გადმოვარდა და სავალ ნაწილზე დაეცა. მხოლოდ გამვლელი საბარგო მანქანის მძღოლმა შენიშნა გზაზე დაგდებული კაცი. მალე პოლიციაც გამოჩნდა და ლენტინი ტურინის საავადმყოფოში წაიყვანეს. მას აღმოაჩნდა თავის ქალის მოტეხილობა თვალის არეში და ხელის თითის მოტეხილობა. ჰოსპიტალში ლენტინი მსუბუქი კომის მდგომარეობაში მიიყვანეს. იმ დღესვე გაირკვა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გუშინწინ ოჯახის მოთხოვნით ლენტინი ვერტმფრენით მილანის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.



ჯანლუიჯი ლენტინი

**ლენტინი, რა თქმა უნდა, ვერ ითამაშებს იტალიის ჩემპიონატის პირველ მატჩებში. „მილანს", ამასთან ერთად, სხვა საზრუნავიც გაუჩნდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, პირველ საშინაო მატჩს „ჭენოასთან" გუნდი მილანიდან 300 კილომეტრის დაშორებით ითამაშებს. სასჯელი მიღებულ იქნა იმის გამო, რომ წინა სეზონის ბოლო მატჩზე დასასწრებად მიმავალ მილანელ ტიფოზებს მატარებელში შემთხვევით „სამპდორიას" გულშემატკივრები შეხვდნენ და „შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა". ჩხუბის დროს, რომელიც პირველივე გაჩერებაზე უკვე გარეთ გაგრძელდა, რამდენიმე კაცი დაიჭრა. „სამპდორია" ფედერაციამ 60 ათასი დოლარით დააჯარიმა.**

## მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდების განაცხადები. აღმოსავლეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ნომრის მეოთხე და მეხუთე გვერდებზე დაგეგმილი გვქონდა მკითხველებისთვის საქართველოს მეხუთე ჩემპიონატში მონაწილე ოცდარვივე გუნდის განაცხადები მოგვეწოდებინა. ფეხბურთის ფედერაციის გრაფიკით განაცხადების წარდგენა ოთხშაბათს უნდა დამთავრებულიყო. სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგიერთმა კლუბმა დროზე ვერ წარმოადგინა საბუთები. გუშინ სალამოს ოფიციალური განაცხადი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გაკეთებული: „ცხუმს", „შუქურას", „ივერიას", „კახეთს", „მარგვეთსა" და „მრეტებს". გასაგებია, რომ შეიქმნა ბევრი საკონფლიქტო სიტუაცია ტრანსფერებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ხომ მოსალოდნელიც იყო. გაუგებარია, როგორ არ იყვნენ გუშინ სალამოს „დინამოში" დამტკიცებულნი ლობჟანიძე და ხუჯაძე, მათ ხომ გუნდთან ერთად საფრანგეთშიც კი იმოგზაურეს. ან, მაგალითად, „მრეტები", მთელ შემადგენლობას ეცილებიან სხვა გუნდები? ჩვენს ხელთაა 20 დღის წინანდელი გერმანული გაზეთები, რომლებიც ყველა კლუბის განაცხადებს ბეჭდავენ, ბუნდესლიგა კი დღეს იღებს სტარტს. მართალია, გერმანიამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ არც ისე უნდა გავიუბედუროთ თავი, რომ ჩემპიონატი რომელიმე კლუბმა 6 კაცით დაიწყოს.

საქართველოს მეხუთე ჩემპიონატი ზეგ იწყება...

**ფეხბურთელის სახელის შემდეგ თანმიმდევრობით მოყვანილია შემდეგი მონაცემები: დაბადების წელი, გუნდში ჩარიცხვის წელი, უმაღლეს ჯგუფში ჩატარებული მატჩები, გოლები**

### დილა გორი

მთავარი მწვრთნელი — რომან მელიქიძე
ტექნიკური დირექტორი — ზურაბ დალაქიშვილი
მწვრთნელი — რობერტ ამბრიაშვილი

მეკარე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თემურ ვოლკოვი | 1971 | 1992 | 31 | — |

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვაჟა თარხნიშვილი | 1971 | 1991 | 72 | — |
| რევაზ ხაჭაპურიძე | 1974 | 1992 | 42 | — |
| გიორგი ბალაშვილი | 1973 | 1992 | 29 | — |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯიმშერ მარეხაშვილი | 1965 | 1988 | 118 | 17 |
| გიორგი წკრიალაშვილი | 1973 | 1992 | 45 | 3 |
| თამაზ ციცქიშვილი | 1970 | 1992 | 15 | 2 |
| ნუკრი მინდიაშვილი | 1975 | 1992 | 16 | 1 |

### დინამო თბილისი

მთავარი მწვრთნელი — გივი ნოდია
ტექნიკური დირექტორი — ვაჟა ჟვანია
მწვრთნელი — თემურ მაისურაძე

მეკარეები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ირაკლი ზოიძე | 1969 | 1992 | 82 | — |
| ნიკა ჩხეიძე | 1968 | 1991 | 99 | — |
| დავით გვარამაძე | 1975 | 1992 | 4 | — |

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბესიკ ბერაძე | 1968 | 1992 | 92 | 1 |
| მურთაზ შელია | 1969 | 1991 | 102 | 5 |
| გოჩა ჩიქოვანი | 1962 | 1989 | 105 | 3 |
| გივი ქველაძე | 1970 | 1990 | 54 | 1 |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ანჩაბაძე | 1973 | 1992 | 57 | 12 |
| გიორგი ქინქლაძე | 1973 | 1992 | 60 | 23 |
| ზაზა რევიშვილი | 1968 | 1993 | 89 | 36 |
| გოჩა ჯამარაული | 1971 | 1989 | 69 | 3 |
| გელა ინალიშვილი | 1966 | 1991 | 104 | 38 |
| რეზო არველაძე | 1969 | 1991 | 55 | 17 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 1971 | 1989 | 85 | 47 |
| გიორგი ნემსაძე | 1972 | 1993 | 93 | 16 |
| გიორგი კიკნაძე | 1976 | 1993 | — | — |
| შოთა არველაძე | 1973 | 1991 | 60 | 43 |
| არჩილ არველაძე | 1973 | 1991 | 41 | 15 |

მოვიდა: კიკნაძე (მერანი)
წავიდნენ: დიმიტრი კუდინოვი (კვიპროსი), მალხაზ არზიანი (შვედეთი), ალექსანდრე რეხვიაშვილი (გურია), გოჩა ქოქოშვილი, ბადრი კვარაცხელია, მიხეილ ძოძუაშვილი

### ერქვანი გურჯაანი

მთავარი. მწვრთნელი — ჯონი ჯანელიძე
მწვრთნელები — ალექსანდრე არევაძე, გია გილიგაშვილი

მეკარეები

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ ფოფხაძე | 1972 | 1992 | 26 | — |
| გიორგი გვაზავა | 1974 | 1992 | 4 | — |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი მოსიკაშვილი | 1974 | 1992 | 16 | 1 |
| ვანო იაკობაშვილი | 1974 | 1991 | 18 | 1 |
| ვლადიმერ ჭოლოკავა | 1970 | 1993 | — | — |
| ნოდარ კიკნაძე | 1962 | 1993 | 82 | 21 |

მოვიდა: კიკნაძე (მარგვეთი)
წავიდნენ: ოთარ კორლალიძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, მერაბ თევზაძე (გურია), დავით ცომაია (კოლხეთი 1913)

### ივერია ხაშური

მთავარი მწვრთნელი —
ტექნიკური დირექტორი —
მწვრთნელი —

მეკარეები

მცველები

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

### კახეთი თელავი

მთავარი მწვრთნელი —
ტექნიკური დირექტორი —
მწვრთნელი —

მეკარეები

მცველები

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

### მარგვეთი ზესტაფონი

მთავარი მწვრთნელი —
ტექნ.ური დირექტორი —
მწვრთნელი —

მეკარეები

მცველები

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

### მაღაროელი ჭიათურა

მთავარი მწვრთნელი — თემურ გრძელიშვილი
ტექნიკური დირექტორი — ალექსანდრე მესხი
მწვრთნელები — ამირან სევასტოპულო, ამირან გაჩეჩილაძე, როლანდ კიპაროიძე

მეკარეები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯიმშერ გველესიანი | 1968 | 1988 | — | — |
| ნიკოლოზ ხელაძე | 1972 | 1993 | 34 | — |

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიხეილ კიპაროიძე | 1970 | 1988 | — | — |
| დავით იობაშვილი | 1969 | 1988 | — | — |
| ვახტანგ თამაზაშვილი | 1963 | 1992 | 29 | 1 |
| პაატა ლურსმანაშვილი | 1971 | 1992 | 5 | — |
| დავით რუხაძე | 1963 | 1993 | 89 | 1 |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯუმბერ ბუიშვილი | 1967 | 1991 | 15 | 5 |
| ლაშა აბრამიშვილი | 1969 | 1986 | — | — |
| ანზორ კავთელაძე | 1969 | 1988 | — | — |
| ბადრი ბრეგვაძე | 1960 | 1991 | 18 | — |
| გოჩა მწყერაშვილი | 1969 | 1991 | — | — |
| ზაზა დადუნაშვილი | 1968 | 1991 | 32 | 4 |
| ზვიად ბურძენიძე | 1969 | 1992 | — | — |
| ჯაბა წიკლაური | 1968 | 1992 | 26 | 2 |
| მამუკა ხახიშვილი | 1975 | 1993 | 40 | 3 |
| თემურ სამხარაძე | 1974 | 1993 | — | — |

მოვიდნენ: ხელაძე, რუხაძე (ტორპედო), ხახიშვილი (სამტრედია), სამხარაძე (მაღაროელი 2)
წავიდნენ: ელგუჯა მიქაია, კახა ტეფნაძე, ცეზარ სოხაშვილი, კახა გამყრელიძე, კახა კილურაძე

### მეტალურგი რუსთავი

მთავარი მწვრთნელი — გურამ ქოჩიაშვილი
ტექნიკური დირექტორი — დავით შუბითიძე
მწვრთნელები — იასონ ალადაშვილი

მეკარეები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მამუკა ქორიძე | 1968 | 1990 | 88 | — |
| ალექსანდრე ქოჩიაშვილი | 1972 | 1991 | 7 | — |

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე ბურნაძე | 1974 | 1990 | 74 | 3 |
| დავით ქართველიშვილი | 1976 | 1993 | — | — |
| თემურ დიმიტრიშვილი | 1971 | 1990 | 42 | 1 |
| ბესიკ დუშუაშვილი | 1973 | 1993 | 25 | — |
| ნიკოლოზ ჩოჩიევი | 1975 | 1993 | — | — |
| არჩილ ნოდია | 1974 | 1993 | 6 | — |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვარლამ კილასონია | 1968 | 1992 | 31 | 17 |
| თამაზ მეტრეველი | 1969 | 1986 | 91 | 8 |
| კახა ალადაშვილი | 1975 | 1990 | 50 | 6 |
| დიმიტრი არსოშვილი | 1976 | 1993 | 1 | — |
| მამუკა მელაძე | 1974 | 1992 | 8 | — |
| ვალერი მაჭავარიანი | 1975 | 1993 | — | — |
| ზაზა ზამთარაძე | 1976 | 1993 | — | — |
| გიორგი ლუდუშაური | 1973 | 1992 | 20 | 10 |
| გიორგი კილასონია | 1968 | 1986 | 104 | 45 |

მოვიდნენ: დუშუაშვილი (დილა), ნოდია (გურია 2), მაჭავარიანი, ზამთარაძე (სკოლა), ქართველიშვილი, ჩოჩიევი
წავიდნენ: ხვიჩა ქასრაშვილი (ფეხბურთს თავი დაანება), ედუარდ ავაქიანი (საბერძნეთი), ზაზა ბაკურაძე, მამუკა ფანცულაია (შევარდენი), ავთანდილ კაპანაძე, ტარიელ კაპანაძე, ნუგზარ ლობჟანიძე, შალვა ხუჯაძე, გიორგი ფირცხალავა

### მრეტები თბილისი

მთავარი მწვრთნელი —
ტექნიკური დირექტორი —
მწვრთნელი —

მეკარეები

მცველები

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

### საპოვნელა თერჯოლა

მთავარი მწვრთნელი — თემურ კოხრეიძე
ტექნიკური დირექტორი — შოთა ქავთარაძე
მწვრთნელები — ზურაბ ნემსაძე, მერაბ სილაგაძე

მეკარე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მამუკა თევზაძე | 1968 | 1992 | 9 | — |

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მირიან გეწაძე | 1972 | 1988 | — | — |
| ჯემალ ჭულუხაძე | 1964 | 1985 | — | — |
| ალექსანდრე ძიძიშვილი | 1965 | 1992 | — | — |
| ვეფხია ხვარეშია | 1967 | 1991 | — | — |
| გელა კუხიანიძე | 1971 | 1992 | — | — |
| შალვა ბოჭორიშვილი | 1967 | 1987 | — | — |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მამუკა უკლება | 1967 | 1989 | — | — |
| მალხაზ ახვლედიანი | 1970 | 1991 | — | — |
| მერაბ ქურცაძე | 1971 | 1992 | — | — |
| კარლო ჩინჩალაძე | 1963 | 1981 | — | — |
| რამაზ გურაბანიძე | 1969 | 1989 | — | — |
| დავით გოდერძიშვილი | 1973 | 1993 | — | — |
| გოჩა ბრეგვაძე | 1965 | 1993 | 51 | 4 |
| გელა ბუნტური | 1974 | 1993 | — | — |
| დავით ჭანტურიძე | 1977 | 1993 | — | — |

მოვიდნენ: გოდერძიშვილი (არმაზი 90), ბრეგვაძე (სულორი), ბუნტური (იმერეთი), ჭანტურიძე
წავიდნენ: ჭაბუკი იობიძე (სამგურალი), დავით ნოზაძე, მალხაზ ჯინჭარაძე, ავთანდილ კახიძე

### შევარდენი 1906 თბილისი

მთავარი მწვრთნელი — მურთაზ ხურცილავა
ტექნიკური დირექტორი — ელგუჯა ხუციშვილი
მწვრთნელები — რევაზ გაგუა, ავთანდილ ნებიერიძე

მეკარეები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რევაზ ნაჭყებია | 1972 | 1991 | 10 | — |
| გრიგოლ ჭანტურია | 1973 | 1993 | 59 | — |

მცველები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ელიაშვილი | 1962 | 1987 | 105 | — |
| ნორმენ ტარტარაშვილი | 1965 | 1989 | 103 | 1 |
| გია ჯიშკარიანი | 1967 | 1992 | 85 | 20 |
| ზაალ ქოჩლაძე | 1970 | 1993 | 19 | 1 |
| ანზორ შურლაია | 1970 | 1993 | 80 | 3 |
| გელა კვიტატიანი | 1971 | 1993 | | |

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კონსტანტინე მელქაძე | 1970 | 1992 | 88 | 8 |
| გიორგი ხურცილავა | 1971 | 1992 | 52 | 16 |
| კახი გოგიჩაიშვილი | 1968 | 1992 | 104 | 22 |
| მამია ჯიქია | 1975 | 1992 | 25 | 1 |
| ზაზა ბაკურაძე | 1968 | 1993 | 43 | 6 |
| მერაბ ტარყაშვილი | 1975 | 1993 | 15 | — |
| მამუკა ფანცულაია | 1967 | 1993 | 70 | 38 |

მოვიდნენ: ჭანტურია, შურლაია (სამტრედია), ფანცულაია, ბაკურაძე (მეტალურგი), ტარყაშვილი (მრეტები)
წავიდნენ: აკაკი დევაძე, მამუკა მაჭავარიანი (კოლხეთი 1913), გიორგი ნემსაძე (დინამო), დავით ყიზილაშვილი (კვიპროსი), ლევან ყიფიანი (გერმანია), ბაგრატ ჩადუნელი, მამუკა მინაშვილი, კახა კოპალეიშვილი, ალექსანდრე ელაძე, რობერტ ქაჯაია, თამაზ სამხარაძე

## მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდების განაცხადები. დასავლეთი

### ამირანი ოჩამჩირე

მთავარი მწვრთნელი — ბონდო კაკუბავა
ტექნიკური დირექტორი — ადიკ დურსუნიში
მწვრთნელები — თამაზ ბჟანია, ვიაჩესლავ ქურსუა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარე | | | | |
| ელდარ ფიფია | 1975 | 1993 | — | — |
| მცველები | | | | |
| ბადრი ახვლედიანი | 1970 | 1993 | 83 | — |
| ვლადიმერ კაკუბავა | 1971 | 1993 | 12 | — |
| ოთარ ძალამიძე | 1959 | 1976 | 87 | 1 |
| ივანე აფენდოპულო | 1962 | 1977 | 66 | 9 |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ვალტერ გუჩუა | 1975 | 1993 | 24 | — |
| ჯონი შალამბერიძე | 1975 | 1993 | 6 | — |
| ნიკა კაკუბავა | 1974 | 1993 | 43 | 3 |
| გელა გაბისონია | 1970 | 1993 | 69 | 36 |
| გელა ჯოჯუა | 1968 | 1991 | 37 | 12 |
| ლევან თოლორდავა | 1974 | 1993 | 31 | 2 |
| მალხაზ ჩხვირკია | 1970 | 1993 | 3 | — |
| როლანდ გუჩუა | 1959 | 1993 | — | — |
| კობა ჯინორია | 1974 | 1993 | — | — |

მოვიდნენ: 1992 წელს წასული ყველა ფეხბურთელი
წავიდნენ: გიორგი ბაბუაძე, ელგუჯა მიქაია, გარი ვართანოვი, იური ფაჩულია, ზაზა ლურწკაია, იური ტრუვალიოვი, გიორგი ჩალიგავა

### ბათუმი

მთავარი მწვრთნელი — შოთა ჭეიშვილი
ტექნიკური დირექტორი — თამაზ ცინარიძე
მწვრთნელები — ვალერი მაჩხელიანი, გურამ ქორიძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| ასლან ბალაძე | 1960 | 1986 | 93 | 1 |
| იური მამინაშვილი | 1957 | 1990 | 20 | — |
| მირიან მალაყმაძე | 1975 | 1993 | — | — |
| მცველები | | | | |
| ამირან გოგიტიძე | 1964 | 1980 | 87 | 3 |
| ვალერი შანიძე | 1965 | 1990 | 116 | 2 |
| გელა შეყილაძე | 1970 | 1988 | 97 | 3 |
| პაატა მაჭუტაძე | 1968 | 1991 | 84 | 12 |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| მალხაზ მახარაძე | 1963 | 1988 | 106 | 13 |
| როსტომ თორლაშვილი | 1964 | 1992 | 116 | 21 |
| ალექსანდრე კანტიძე | 1968 | 1990 | 76 | 5 |
| ამირან მუჯირი | 1974 | 1990 | 41 | 4 |
| ბადრი ფუტკარაძე | 1971 | 1993 | — | — |
| ლევან ჯიჯავაძე | 1975 | 1993 | — | — |
| ლევან ხომერიკი | 1974 | 1991 | 65 | 34 |
| თემურ ტულუში | 1972 | 1988 | 113 | 27 |
| ავთანდილ სიხარულიძე | 1975 | 1992 | 17 | — |
| მერაბ გეთია | 1965 | 1993 | 7 | — |
| გოჩა ყულეჯიშვილი | 1973 | 1993 | — | — |

მოვიდნენ: ჯიჯავაძე, მალაყმაძე (სკოლა), ფუტკარაძე ყულეჯიშვილი (კახაბერი)
წავიდნენ: ტარიელ დურდიაძე (ფეხბურთს თავი მიანება), დავით უჯმაჯურიძე, ავთანდილ ღლონტი, გია კომახიძე, დავით კუცია, გიორგი ვარშანიძე

### გურია ლანჩხუთი

მთავარი მწვრთნელი — თემურ ჩხაიძე
ტექნიკური დირექტორი — გულსუნდა დუნდუა
მწვრთნელები — რამაზ ფირცხალაიშვილი, ავთანდილ ნარიაშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| ალექსანდრე კუნჭულია | 1972 | 1993 | — | — |
| მამუკა აბუსერიძე | 1962 | 1993 | 47 | — |
| მცველები | | | | |
| ბადრი დანელია | 1962 | 1993 | 76 | 5 |
| გიორგი დოლბაია | 1973 | 1992 | 53 | 2 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 1974 | 1993 | 35 | — |
| მამუკა ბუცურეიშვილი | 1974 | 1992 | 29 | 2 |
| დიმიტრი პაპავა | 1968 | 1993 | 90 | 1 |
| როინ ნარიაშვილი | 1969 | 1992 | 32 | 5 |
| მერაბ თევზაძე | 1964 | 1993 | 97 | 12 |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ოთარ კორღალიძე | 1960 | 1993 | 111 | 98 |
| კახა კვინტრაძე | 1971 | 1990 | 53 | — |
| პაატა გამცემლიძე | 1971 | 1992 | 28 | 2 |
| კახა გოგოლაძე | 1968 | 1992 | 30 | 5 |
| ბესიკ ფრიდონაშვილი | 1961 | 1993 | 92 | 37 |

მოვიდნენ: კორღალიძე, ფრიდონაშვილი, თევზაძე (ერქვანი), კუნჭულია (გურია 2), აბუსერიძე (მარგვეთი), დანელია (კოლხეთი 1913), რეხვიაშვილი (დინამო), პაპავა (ცხუმი)
წავიდნენ: ვალერიან დუმბაძე (მერცხალი), გია ჩხაიძე

### კოლხეთი 1913 ფოთი

მთავარი მწვრთნელი — გია იმნაძე
ტექნიკური დირექტორი — სოსო ფილია
მწვრთნელები — ჯელი კუჭუხიძე, ამირან მელიქია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| მამუკა გვასალია | 1967 | 1987 | 92 | — |
| აკაკი დევაძე | 1971 | 1993 | 98 | — |
| მცველები | | | | |
| ოთარ თიბილაშვილი | 1965 | 1988 | 80 | 1 |
| ბაადურ კაკაჩია | 1967 | 1988 | 100 | 1 |
| კახა გოროზია | 1972 | 1991 | 53 | 2 |
| გოგიტა ქუნთელია | 1971 | 1990 | 48 | 2 |
| მამუკა მაჭავარიანი | 1970 | 1993 | 99 | 2 |
| დავით ცომაია | 1967 | 1993 | 82 | 4 |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ზაველ ლალანიძე | 1972 | 1991 | 50 | 1 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | 1963 | 1992 | 79 | 10 |
| ვალერი ტორჩინავა | 1969 | 1990 | 70 | 7 |
| დავით მახარაძე | 1964 | 1992 | 72 | 36 |
| თამაზ კიკლიაშვილი | 1964 | 1992 | 93 | 15 |
| გიორგი დარასელია | 1968 | 1993 | 110 | 34 |
| მამუკა ბულუხია | 1971 | 1992 | 24 | 2 |

მოვიდნენ: დევაძე, მაჭავარიანი (შევარდენი 1906), დარასელია (ტორპედო), ცომაია (ერქვანი)
წავიდნენ: ბადრი დანელია (გურია), მერაბ შამათავა, იური სიჭინავა, ნუგზარ თვარაძე, მამუკა ქობალია, მამუკა ბაჯალაძე, კალისტრატე ხურცილავა, რევაზ ქაშიბაძე

### მზიური გალი

მთავარი მწვრთნელი — ანზორ გძელიძე
ტექნიკური დირექტორი — ამირან ანჯაფარიძე
მწვრთნელი — იური ბიბლაია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| რობერტ ფიფია | 1974 | 1991 | 5 | — |
| გოჩა ესათია | 1971 | 1993 | — | — |
| მცველები | | | | |
| ხვიჩა ეთერია | 1971 | 1993 | 68 | 6 |
| კობა კვეკვესქირი | 1967 | 1993 | 75 | 8 |
| დავით ლურწკაია | 1966 | 1993 | 45 | — |
| თემურ ლურწკაია | 1968 | 1993 | 79 | — |
| ზაზა კვეკვესქირი | 1974 | 1993 | 6 | — |
| გელა მატუა | 1970 | 1993 | — | — |
| დილარ კვეკვესქირი | 1975 | 1992 | 1 | — |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ჯენრი ხერგიანი | 1969 | 1992 | — | — |
| კობა ტაბალუა | 1974 | 1991 | 8 | 1 |
| ლაშა ყოლბაია | 1973 | 1993 | 16 | — |
| დავით ჩხეტია | 1968 | 1993 | 104 | 26 |
| ალკაზ ქანთარია | 1954 | 1993 | 95 | 8 |
| გურამ თორია | 1973 | 1993 | — | — |
| ზაზა კაკავა | 1974 | 1993 | — | — |
| ნუგზარ ნარმანია | 1977 | 1993 | — | — |
| ზაზა ქობალია | 1976 | 1993 | — | — |
| გოჩა ქორთუა | 1973 | 1993 | 15 | — |

მოვიდნენ: 1992 წელს წასული ყველა ფეხბურთელი
წავიდნენ: ნიკა კაკუბავა (ამირანი), ეროსი ხურცილავა, ვლადიმერ კაკუბავა, მამუკა ჯღარკავა, იმედა მეტრეველი

### ოდიში ზუგდიდი

მთავარი მწვრთნელი — ვლადიმერ თუთბერიძე
ტექნიკური დირექტორი — ჯემალ გოგია
მწვრთნელი — როლანდ გელენავა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| გელა ჭანტურია | 1964 | 1990 | 86 | — |
| კობა მიქავა | 1973 | 1993 | 8 | — |
| მცველები | | | | |
| ოთარ თუთბერიძე | 1959 | 1990 | 113 | — |
| დავით ჯოლოხავა | 1972 | 1993 | — | — |
| ალექსანდრე აბრალავა | 1959 | 1993 | — | — |
| კახაბერ მესხი | 1967 | 1993 | — | — |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ვლადიმერ გაბედავა | 1975 | 1992 | 31 | 4 |
| ბადრი დარასელია | 1971 | 1992 | 32 | 9 |
| ზვიად ქაძანაია | 1974 | 1992 | 37 | 5 |
| გოჩა კვარაცხელია | 1968 | 1991 | 59 | 2 |
| ზაზა აფაქიძე | 1970 | 1992 | 43 | 8 |
| მანუჩარ კუტალია | 1977 | 1993 | — | — |
| კობა აბსანძე | 1973 | 1993 | 4 | — |
| რომან გუგუჩია | 1973 | 1993 | 4 | — |

მოვიდნენ: ჯოლოხავა, აბრალავა (სქური), მიქავა (კოლხეთი), მესხი (ჩელა), კუტალია
წავიდნენ: გელა კვიტატიანი (შევარდენი), მურთაზ ოჩიგავა, შერმადინ დანელია (ცხუმი), თენგიზ ჭიჭინაძე (ეგრისი), ხვიჩა ეთერია, კობა კვეკვესქირი (მზიური), გელა გაბისონია (ამირანი), დევი ჯავაშვილი (ფეხბურთს თავი მიანება), კახაბერ სართანია, გოჩა გოგოხია (რუსეთი), ზაზა ჯანაშია, ჯამბულ შონია, ზაალ ბულია



### სამგურალი წყალტუბო

მთავარი მწვრთნელი — თემურ სვანაძე
მწვრთნელი — ავთანდილ ჯანელიძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| გელა კიკალეიშვილი | 1959 | 1993 | 53 | 2 |
| თამაზ ბანძელაძე | 1968 | 1993 | — | — |
| მცველები | | | | |
| ლევან ქობულაძე | 1973 | 1992 | 3 | — |
| ლევან ჯანხოთელი | 1971 | 1993 | 11 | — |
| ირაკლი მაღლაკელიძე | 1973 | 1993 | 11 | — |
| ვარლამ ფესტვენიძე | 1963 | 1981 | 108 | 9 |
| რატი იობიძე | 1971 | 1993 | 40 | — |
| თემურ ცნობილაძე | 1960 | 1993 | 73 | 1 |
| გივი ჯანელიძე | 1972 | 1988 | 65 | 1 |
| ვახტანგ ქვარიანი | 1977 | 1993 | — | — |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ემზარ ხურცილავა | 1964 | 1993 | 51 | 9 |
| ალუდა გუბელაძე | 1973 | 1992 | 6 | — |
| კახა ჯანაშია | 1973 | 1993 | — | — |
| ვლადიმერ ჯანელიძე | 1974 | 1993 | — | — |
| ლევან ფესტვენიძე | 1972 | 1988 | 47 | 1 |
| დავით იობიძე | 1975 | 1993 | — | — |
| ქაბუკი იობიძე | 1965 | 1993 | 64 | — |
| გოჩა ხარაბაძე | 1961 | 1983 | 88 | 26 |

მოვიდნენ: კიკალეიშვილი, ხურცილავა, ვ. ჯანელიძე, რ. იობიძე (სულორი), ჯანხოთელი (იმერეთი), ჯანაშია (უქიმერიონი), მაღლაკელიძე (ტორპედო), ქ. იობიძე (საპოვნელა)
წავიდნენ: გოჩა მიქაძე, იმედა გოგელიძე (სამტრედია), კახა კვეტენაძე (ტორპედო), ვალერი მუშკუდიანი, გრიგოლ თევზაძე, გელა წიქარიშვილი, მამუკა მანაგაძე, გიორგი სუხიაშვილი, ნოდარ ჭელიძე, გივი ბაბუნიძე, გოჩა ჩიხლაძე, მერაბ მეგრელაძე, ავთანდილ ჯანელიძე (ფეხბურთს თავი მიანება)

### სამტრედია

მთავარი მწვრთნელი — ნოდარ ხიზანიშვილი
ტექნიკური დირექტორი — კარლო კალაძე
მწვრთნელი — ჟულვერდ ელაშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარეები | | | | |
| გოჩა მიქაძე | 1964 | 1993 | 120 | — |
| ივანე თოდაძე | 1964 | 1986 | 84 | — |
| მცველები | | | | |
| ზაზა ტონია | 1972 | 1990 | 81 | — |
| გიორგი ვაშაკიძე | 1965 | 1992 | 107 | 9 |
| იასონ ბზიკაძე | 1963 | 1992 | 108 | 2 |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| იმედა გოგელიძე | 1969 | 1993 | 105 | 9 |
| ვლადიმერ ჭყონია | 1969 | 1993 | 108 | 18 |
| გელა ფანჩულიძე | 1968 | 1992 | 29 | 7 |
| დავით ჯანაშია | 1972 | 1993 | 110 | 42 |
| ზურაბ იონანიძე | 1971 | 1993 | 96 | 29 |
| ბესიკ ამაშუკელი | 1972 | 1993 | 74 | 11 |
| ბესიკ წულაია | 1971 | 1992 | 26 | — |

მოვიდნენ: გოგელიძე, მიქაძე (სამგურალი), ჭყონია, იონანიძე, ჯანაშია (ტორპედო)
წავიდნენ: გრიგოლ ჭანტურია, ანზორ შურღაია (შევარდენი), მამუკა ხახიშვილი (მაღაროელი)

### ტორპედო ქუთაისი

მთავარი მწვრთნელი — გიგა ნორაკიძე
ტექნიკური დირექტორი — გიორგი აბზიანიძე
მწვრთნელები — რევაზ ბურკაძე, ჯემალ ხერხაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეკარე | | | | |
| თემურ ნიშნიანიძე | 1970 | 1993 | — | — |
| მცველები | | | | |
| არჩილ ჩხაბერიძე | 1971 | 1992 | 41 | — |
| მალხაზ ვოსკანოვი | 1970 | 1992 | 18 | 1 |
| ხვიჩა ხართიშვილი | 1973 | 1992 | 27 | — |
| გივი დიდავა | 1976 | 1992 | 14 | — |
| კობა სადილიანი | 1971 | 1993 | — | — |
| ნახევარმცველები, თავდამსხმელები | | | | |
| ირაკლი გიორგობიანი | 1971 | 1993 | — | — |
| კახა კვეტენაძე | 1970 | 1993 | 16 | 1 |
| ზაზა ვაჩიბერაძე | 1971 | 1993 | — | — |
| ჯეირან უშვერიძე | 1971 | 1993 | — | — |
| გიორგი თათარაშვილი | 1972 | 1993 | — | — |

მოვიდნენ: ნიშნიანიძე, სადილიანი, უშვერიძე, თათარაშვილი (უქიმერიონი), კვეტენაძე (სამგურალი), გიორგობიანი (მეშახტე). ვაჩიბერაძე (ტორპედო 2)
წავიდნენ: ზურაბ იონანიძე, ვლადიმერ ჭყონია, დავით ჯანაშია (სამტრედია), გიორგი დარასელია (კოლხეთი 1913), დავით ჩხეტია (მზიური), ირაკლი მაღლაკელიძე (სამგურალი), ნიკოლოზ ხელაძე, დავით რუხაძე (მაღაროელი), გიორგი მაკასარაშვილი, ვასილ შენგელია, ზაზა გურიელიძე, კახა ნივნიეაძე, მამუკა ხუნდაძე

### შუქურა ქობულეთი

მთავარი მწვრთნელი —
ტექნიკური დირექტორი —
მწვრთნელი —

მეკარეები

მცველები

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

### ცხუმი სოხუმი

მთავარი მწვრთნელი —
ტექნიკური დირექტორი —
მწვრთნელი —

მეკარეები

მცველები

ნახევარმცველები, თავდამსხმელები

ჩოგბურთი

# ITF ჩვენს მხარესაა

საბჭოთა კავშირის დაშლამ სპორტის თითქმის ყველა სახეობის წარმომადგენლები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. რესპუბლიკებმა დამოუკიდებელი გუნდებით ასპარეზობის საშუალება კი მიიღეს, მაგრამ პრობლემებიც ბლომად გაუჩნდათ — ფინანსური საკითხები, ინვენტარის შოვნა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება.

იმისათვის, რომ ეს მტკივნეული, გარდამავალი პროცესი მეტნაკლებად იოლი გადასატანი იყოს, დახმარების ხელს გაუწვდის საერთაშორისო ფედერაციები, მათ შორის ჩოგბურთისა (ITF), რომელიც წელში გამართული, ყოველმხრივ ძლიერი ორგანიზაცია გახლავთ.


დაგ მაკკარდი „დინამოს" კორტებზე

სწორედ ამ მიზნით, მინსკისა და კიევის შემდეგ, თბილისს ორდღიანი ვიზიტით ეწვია ამერიკელი სპეციალისტი დაგ მაკკარდი, რომელსაც ITF-ში სპორტის ამ ზეპოპულარული სახეობის განვითარების დეპარტამენტის დირექტორის პოსტი უკავია. სტუმარი ადგილებზე გაეცნო დღევანდელ მდგომარეობას და ამბავი წაიღო ITF-ში, რომელიც შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს ამ სამ ქვეყანაში ჩოგბურთის შემდგომი განვითარებისათვის.

იმის დასტურად, რომ ITF მხოლოდ სიტყვით როდია ჩვენთან, ორი კვირის წინ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ლონდონიდან საჩუქრად მიიღო 250 ჩოგანი და 1200 ბურთი, რომლებიც ნორჩ სპორტსმენებს დაურიგდებათ.

დაგ მაკკარდიმ „დინამოს" კორტებზე მწვრთნელებთან და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას დაწვრილებით ისაუბრა ნორჩი ჩოგბურთელების აღზრდის სისტემაზე ჩეხოსლოვაკიის, შვედეთის მაგალითებზე. კერძოდ აღნიშნა, რომ არაა საჭირო ბავშვები თავიდანვე მივაჩვიოთ დიდ დატვირთვებს. ნორჩი ორგანიზმისთვის ყოველდღე ინტენსიური ვარჯიში დამქანცველიცაა და მოსაბეზრებელიც. ამიტომ კორტებზე ყოფნას უფრო მხიარული, ხალისიანი თამაშის ფორმა უნდა მიეცეს, ვიდრე სერიოზული წვრთნისა.

მეორე დღეს სტუმარმა მწვრთნელებთან პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარა, დაესწრო ნორჩი სპორტსმენების ვარჯიშს. ზოგს მოუწონა თამაშის ტექნიკა, ზოგსაც ნაკლზე მიუთითა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ტექნიკური ელემენტის გარჩევისას ზოგიერთმა მწვრთნელმა თქვა, ეს ხომ ჩვენთვის გუშინდელი დღეაო. მაგას რა სჯობს, თუ კი ის, რაც სტუმარმა ორი დღის წინ გვამცნო, საქართველოში უკვე კარგა ხანია ათვისებული ჰქონიათ და ასე მუშაობენ წლების მანძილზე.

ბოლოს, ბატონი მაკკარდი მასპინძლებს შეპირდა, რომ დაწვრილებით მოუყვება თავის ხელმძღვანელობას ჩვენში ჩოგბურთის პრობლემებზე და გზებსაც დასახავენ რეალური დახმარების აღმოსაჩენად. მისი თქმით, კიდევ გამოგვიგზავნიან ჩოგნებს, სიმებსა და ბურთებს, მატერიალურად დაგვეხმარებიან ნორჩი სპორტსმენების გამოსასვლელად სხვადასხვა ტურნირში, დააფინანსებენ რამდენიმე ჩვენი მწვრთნელის გამგზავრებას უცხოეთში სამუშაოდ.

ერთი სიტყვით, ITF-ის წარმომადგენლის პირველი სტუმრობა საქართველოში იმედისმომცემი გამოდგა და ვიმედოვნებთ, სულ მალე რეალურ შედეგსაც გამოიღებს.

გია ახალაძე

წყალბურთი

# უწყლო საქართველოდან

— ახლა მთელი ყურადღება იუნიორ წყალბურთელთა მსოფლიოს მერვე ჩემპიონატისკენ არის მიპყრობილი. ამ შეჯიბრების ფინალური ეტაპი 21-29 აგვისტოს კაიროში გაიმართება. სხვებთან ერთად საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს — ამბობს ქვეყნის წყალბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი იური ჯარიაშვილი



# წყლიანი ეგვიპტისკენ

კაიროს სამი ვაკანტური საგზურის მოსაპოვებლად, სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში გაზაფხულზე გაიმართა შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სლოვაკეთის, საქართველოს, რუმინეთისა და ხორვატიის გუნდები. ეს ადგილები გამოჩნდა მას შემდეგ, რაც შესარჩევ ჯგუფებს გაცდენილმა სამმა გუნდმა სხვადასხვა მიზეზით უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე. საქართველოს წყალბურთის ფედერაციამ არ დააყოვნა და ჩვენი ნაკრები ბრძოლაში ჩაერთო. კოშიცეში ქართველმა იუნიორებმა დაამარცხეს სლოვაკთა გუნდი 11:9, ხორვატებთან დამარცხდნენ 8:13, რუმინელებთან კი — 6:7. საბოლოოდ ხორვატებმა ყველა შეხვედრა მოიგეს, სამმა დანარჩენმა — თითო. გატანილი ბურთების უპირატესობით ქართველები მეორე ადგილზე გავიდნენ. მოგვიანებით კიდევ ერთი ადგილი განთავისუფლდა და დამარცხებული სლოვაკეთის ნაკრებიც შეუერთდა კაიროში მიმავალ „ქარავანს".

ეგვიპტეში იასპარეზებენ: A ჯგუფი: ეგვიპტე, აშშ, იტალია, საუდის არაბეთი. B: რუმინეთი, ბრაზილია, ესპანეთი, საქართველო. C: უნგრეთი, სლოვაკეთი, გერმანია, ხორვატია. D: საბერძნეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი.

საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ნიკოლოზ ასათიანი, ვახტანგ ბუსკივაძე (მეკარეები); რევაზ ჩომახიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ზურაბ ალავიძე, ავთანდილ მაღლაკელიძე, მერაბ ჩიხრაძე, არჩილ გეგენავა, მიხეილ ლომთაძე, მირზა გოგიშვილი, კახა დარსაველიძე, გიორგი ჩიკაძე, გალაკტიონ ლაითაძე. მთავარი მწვრთნელი გიორგი ზუმბულიძე. მწვრთნელები: გელა ტუკვაძე, ჯონდო მაჭარაშვილი.

ჩვენი წყალბურთის მესვეურთ იმედი აქვთ, რომ გუნდი ფინალურ ეტაპზე გავა.

წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ ერაძე კოშიცეში, მსოფლიოს ფედერაციის დელეგატად მოვლენილი იყო ჯანი ლონცო, მსოფლიოს წყალბურთის ფედერაციის კომიტეტის წევრი და ევროპის ფედერაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მან მოიწონა ჩვენი იუნიორების თამაში, საგანგებოდ კი მეკარე ნიკო ასათიანი, რეზო ჩომახიძე და ზურაბ ალავიძე გამოჰყო. როდესაც გაიგო, თუ რა პირობებში ვარჯიშობს გუნდი, გაოცდა. ნორმალურ ვითარებაში თქვენი იუნიორები მსოფლიოს ფავორიტთა რიცხვში იქნებოდნენო, თქვა მან. ბიჭები მონდომებულნი არიან. ამ მოთამაშეთა დიდი ნაწილი 1996 წლის ოლიმპიადაზე იასპარეზებს. ახლა სჭირდებათ მათ ხელშეწყობა, ჩვენთან კი აუზში წყალი არ არის. კაიროში წასვლის წინ, ივლისის პირველი რიცხვებიდან 19-მდე, აუზის დაცლამ ლახვარი ჩაგვცა. სააუზის დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა არ გაითვალისწინა ქართული წყალბურთის ინტერესები, არადა იგი სპეციალისტია და კარგად მოეხსენება წყალბურთელისთვის აუზში ვარჯიშის აუცილებლობა. მან იცოდა, რომ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თბილისში უნდა მომზადებულიყო. მას შეეძლო აუზი არ დაეცალა. უწყლობის გამო ყურადღების გამახვილება ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე მოგვიხდა. ბიჭები ხუმრობდნენ კიდეც, იმდენი ფეხბურთი ვითამაშეთ, ბარემ ფეხბურთელთა შეჯიბრებაზე გაგვიშვითო. კაიროში წასვლამდე ნაკრები მოსკოვში გამართავს საკონტროლო მატჩებს. დასასრულ მინდა აღვნიშნო ის ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსურად გვიმართავენ ხელს. ესენია: ავიაკომპანია „ორბი", ერთობლივი საწარმო „იმერი", საწარმოო გაერთიანება „აზოტი", მოსკოვური ფირმა „დეკორი" (ხელმძღვანელი სოსო ნიჟარაძე) და ტურისტული ფირმა „სინდბადი"". საგანგებოდ მივმართავ ტურისტ გულშემატკივრებს: ვისაც გუნდთან ერთად კაიროში გამგზავრება სურს, მიმართოს „სინდბადს".

ახლა შინაური ამბებიც მიმოვიხილოთ. ეროვნული პირველობის პირველი წრე ჩატარდა მაისში, როგორც კი აუზში წყალი გაჩნდა. ივლისის მიწურულს ბათუმში უნდა გამართულიყო მეორე წრეც, მაგრამ გადაიდო, რადგან ერთი სპორტსმენის კვება დღეში 15-18 ათასი კუპონი ჯდებოდა. ასეთი თანხის გაღება ფედერაციის შესაძლებლობას აღემატებოდა. ახლა დაგეგმილია ჩემპიონატის სექტემბერში დამთავრება.

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი წრის შემდეგ:

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 5 | 0 | 0 | 71-35 | 10 |
| თ.ს.უ. | 4 | 0 | 1 | 71-36 | 8 |
| „მართვე" თბ. | 3 | 0 | 2 | 57-36 | 8 |
| ს.ტ.უ. | 2 | 0 | 3 | 39-36 | 4 |
| „რუსთავი" | 1 | 0 | 4 | 35-69 | 2 |
| „ბათუმი" | 0 | 0 | 5 | 22-60 | 0 |

მეორე წრეში „ბათუმის" ნაცვლად ითამაშებს ქუთაისის „მართვე". იგი ასპარეზობაში 0 ქულით ჩაებმება. საქმე ის არის, რომ ბათუმელებმა გაწვრთნილი წყალბურთელების ნაცვლად მოუმზადებელი ბავშვები ჩამოიყვანეს, რამაც ფედერაციას მათი შეჯიბრებიდან მოხსნისკენ უბიძგა. ქუთაისის „მართვეს" კი საკმაოდ ზრდასრული და მომზადებული შემადგენლობის ჩამოყვანა შესძლებია, რაც ადრე უცნობი ყოფილა. ჩემპიონატზე არ გამოცხადდა ქუთაისის „იმერი", რომელსაც უვარჯიშებლობა მოუმიზეზებია.

თასის გათამაშება 2 ივლისს დასრულდა. „დინამო" — „უნივერსიტეტის" თამაში წრიული სისტემით მიმდინარე ტურნირზე ფაქტობრივი ფინალი გამოდგა. „დინამომ" მოიგო 12:10.

საქართველოს თასი

საბოლოო ცხრილი

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 5 | 0 | 0 | 66-38 | 10 |
| თ.ს.უ. | 4 | 0 | 1 | 68-44 | 8 |
| ს.ტ.უ. | 3 | 0 | 2 | 55-45 | 8 |
| „მართვე" ქუთ. | 1 | 1 | 3 | 47-60 | 3 |
| „მართვე" თბ. | 1 | 0 | 4 | 38-74 | 2 |
| „რუსთავი" | 0 | 1 | 4 | 26-50 | 1 |

ევროპის ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში გამოვა „დინამო". თასების თასზე მონაწილეობის მიღება შეეძლო უნივერსიტეტის გუნდს, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო იგი თასის გათამაშებაში ვერ ჩაებმება.

კომენტარისთვის მივმართეთ სპორტკომპლექს „ვერეს" დირექტორს ვ ლ ა დ ი მ ე რ  გ ო ი ა შ ვ ი ლ ს.

— 1950 წლიდან წყალბურთთან ვარ დაკავშირებული და ვიცი, რაც ხდება ამ სახეობაში. მომხდარის მიზეზი ფედერაციამ საკუთარ თავს უნდა მოკითხოს: „დინამოს" აუზის 160 000 კუპონი მართებს. რაც შეეხება აუზის დაცლას, თბილისს მარტო ჩვენ ვემსახურებით, ამიტომ გაჩნდა წყლის დაბინძურების ნიშნები, თანაც იარაღიანი ჩეელები შემოგვეჩვივნენ. მე გავაფრთხილე ნუგზარ ერაძე, რომ აუზი დროებით უნდა დაცლილიყო: ვაკის აუზი მოამზადეთ, წყლის გათბობის საკითხს კი საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციის პრეზიდენტი ბაკურ გულუა მოგიგვარებთ-მეთქი. თითი თითზე არც კი დაკრეს. ასე რომ, გალმა შედავების პრინციპი აქ სრულიად უადგილოა.

პაპუნა კედია

კალათბურთი

# ახალი ლიგა კარგია, ოლონდ...

„სარბიელის" წინა ნომერში გამოქვეყნდა სტატია კალათბურთის ეროვნული ლიგის შექმნის შესახებ. აზრს გვიზიარებს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რ ო ლ ა ნ დ  ხ ო მ ე რ ი კ ი.



— ამ საკითხს უკვე სამი სხდომა მივუძღვენით. თავისთავად კარგი იდეაა, მაგრამ ბუნებრივია მისი განხორციელება სირთულეებთან არის დაკავშირებული. საწყისი შესატანი თანხა, სამი ათასი დოლარი, ყველა გუნდს არ აქვს. იჩაგრება უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სამტრედიის და კიდევ რამდენიმე გუნდი. 12 გუნდი, უსახსრობის და არა აზრის დაწუნების გამო, ფაქტობრივად ორ ჯგუფად იყოფა. რა ვუყოთ ექვს ღარიბ გუნდს? ცალკე პირველობა ჩავუტაროთ? რომელ შეჯიბრებას დავარქვათ საქართველოს ჩემპიონატი? ასეთ პირობებში ფედერაციას არ აქვს უფლება ერთი ხელის დაკვრით გამოაცხადოს ახალი სტრუქტურის შექმნის შესახებ. გამოსავალი უნდა მოინახოს. ვთქვათ, წლევანდელ დებულებაში აისახოს, რომ გაისიდან შეიქმნება ლიგა, რომელშიც მოსახვედრადაც საჭირო იქნება გარკვეული პირობების დაკმაყოფილება. ასეთ შემთხვევაში გუნდები თადარიგს დაიჭერენ. იდეის ავტორი, სპორტკლუბ „ვითას" ვიცე-პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი ახლა იურისტებთან ერთად ხვეწს ლიგის დებულებას, მაგრამ დრო არ ითმენს, ოქტომბერში პირველობა უნდა დავიწყოთ. მოჩქარეს მოუგვიანდესო, ნათქვამია. ასე, რომ წლეულს შესაძლოა ყველაფერი ძველებურად დარჩეს.

**— ლიგის შექმნა ხომ არ დააკნინებს ფედერაციის უფლებებს?**

— ლიგა შემოვა ფედერაციის სტრუქტურაში და გადამწყვეტი სიტყვაც ფედერაციას დარჩება. სამაგიეროდ საქმე გაიოლდება. ფედერაცია სახელმწიფო ბიუჯეტზეა დამოკიდებული, ლიგას კი ექნება კომერციული სამსახური, რომელიც მოგებას კალათბურთს მოახმარს.

**— სახელმწიფო დაფინანსება აღარ გექნებათ?**

— ბიუჯეტი ბიუჯეტად დარჩება. მარტო კაცების ჩემპიონატი ხომ არ არის, ჩასატარებელია ქალთა პირველობები, მისახედია ბავშვთა კალათბურთი. ბავშვთა კალათბურთს ლიგის მონაგები ფულიც მოხმარდება. ბიზნესში ჩაბმული ხალხი სხვა თვალით შესცქერის მომავალს, ჩვენ კი ასეთი ყაიდის აზროვნებას არ ვართ მიჩვეული, ხანდახან გვგონია, რომ თამამი სიახლით ქვეყანა დაიქცევა და უფრო ფრთხილად ვირჯებით. ასეთი სიფრთხილე გასამტყუნებელი არ არის.

**— კომერცია კომერციად. მოთამაშეთა პროფესიულ დონეზე როგორ იმოქმედებს ლიგის დაარსება?**

— მატერიალური მხარის მოგვარება თანდათან გამოცვლის მოთამაშეთა საქმისადმი მიდგომას. საზღვარგარეთის მსგავსად იქნება, სადაც პროფესიულ ლიგაში თამაში ყველას ოცნებაა. პატარა სპორტსმენთა მშობლებიც სხვაგვარად მიუდგებიან საკითხს, აღარ დატვირთავენ ბავშვებს სხვა დარგებით — კალათბურთელობა ჩვეულებრივი პროფესია გახდება.

ილია ბაბუნაშვილი

პირველად 1971 წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მორაგბეთა ნაკრები „ქურციკები" (Springboks) ავსტრალიაშია და მართავს ტურნეს, რომლის პროგრამაშიც სამ ტესტ-მატჩია მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონთან – ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებ „ვოლაბებთან" (Wallabies; „ვოლაბი" კენგურუსებრი ჩანთოსანი ცხოველია, ოღონდაც მასზე ტანჩია). შაბათს გაიმართა პირველი ტესტი, რომელიც სენსაციურად – სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა. ამ მოულოდნელობის არსში ჩასაწვდომად უპრიანად გვესახება სამხრეთაფრიკული რაგბის ზოგი ბოლოდროინდელი მოვლენის გაცნობა-შეხსენება.



# «ქურციკები» ძალას იკრებენ

## აპარტეიდის დასასრული და ერის გამთლიანება ?!

1948 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მართავდა ნაციონალისტური პარტია, რომელიც ჰოლანდიიდან ჩამოსახლებული ბურების (ღლევანდელი ტერმინოლოგიით „აფრიკანერების") ნაღებს აერთიანებს. ნაციონალისტურმა პარტიამ და მისმა იატაკქვეშა ფრთამ – „ბროდერბონდმა" (რაც აფრიკაანსზე, ანუ აფრიკანერების ენაზე, „საძმოს" ნიშნავს) იმდენი ქნეს, რომ ქვეყანაში თანდათან დააკანონეს მსოფლიო მასშტაბით უნიკალური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სისტემა – აპარტეიდი (აფრიკაანსზე „აპარტჰაიდი"), რომლის არსიც განსხვავებული რასობრივი ჯგუფების განცალკევებული არსებობა და განვითარებაა. ერთი სიტყვით, ქვეყნის კანონმდებლობით ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში გაიმიჯნა ოთხი რასობრივი ჯგუფი: თეთრი (მოსახლეობის 15%), მეტისი (10%), აზიელი (2,5%) და ზანგი. გაიყო რაგბიც: კლუბები რასობრივ პრინციპს დაუფუძნა და ქვეყნის ფარგლებში რაგბის სამართავადაც ოთხი გაერთიანება: საბჭო, ფედერაცია, ასოციაცია და კავშირი შეიქმნა.

1970-იან წლებში აპარტეიდს ყელი გაუვიდა და სამხრეთ აფრიკას მთელმა მსოფლიომ ალმაცერად დაუწყო ცქერა, დაუწესა რა ყოვლისმომცველი სანქციები, მათ შორის – სპორტული იზოლაციაც (გლენიგლზის 1977 წლის შეთანხმებით). სანქციებმა ნელ-ნელა გაჭრა და 1980-იანი წლების ბოლოდან ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა, ნაციონალისტმა დე კლერკმაც აპარტეიდის დემონტაჟი წამოიწყო, რაც მისი და ზანგთა ბელადის – მანდელას გეგმის თანახმად გაისად, 27 აპრილს საყოველთაო არჩევნებითა და ახალი, არარასისტული სამხრეთ აფრიკის გამოცხადებით უნდა დაგვირგვინდეს. ერთი სიტყვით, ერი (?!) უნდა გამთლიანდეს.

## სამგზის დოქტორის ღვაწლი

მორაგბეებს ეამაყებათ, რომ ქვეყნის გაერთიანების მოთავეები თავადაც იყვნენ. სამხრეთაფრიკული რაგბის აწ განსვენებულმა წინამძღოლმა, სტელენბოსხის (კონცხის პროვინცია) უნივერსიტეტის სამგზის დოქტორმა – ანთროპოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ფიზალზრდაში დანიელ (დანი) კრეივენმა ჯერ კიდევ გაგანია აპარტეიდის დროს საბჭოს შემოურიგა ასოციაცია და ფედერაცია და მულტირასობრივი რაგბი დანერგა. მხოლოდ ზანგების რადიკალური ფრთის საყვირი – კავშირი დარჩა ოპოზიციაში.

კრეივენის ძალისხმევის მიუხედავად, ქვეყნის სარაგბო ბოიკოტი მაინც მოხერხდა. 1984 წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკას ოფიციალური ტურნეთი აღარავინ სწვევია. სამაგიეროდ, კრეივენის სურვილის საწინააღმდეგოდ, მოეწყო „დაქირავებულთა" სამი ტურნე, რამაც მსოფლიო რაგბში დიდი შფოთი გამოიწვია. განხეთქილება მოხდა ქვეყნის შიგნითაც: ექვსი ბობოლა სარაგბო პროვინცია – დასავლეთი კონცხი, ტრანსვაალი, ნატალი, ჩრდილოეთი ტრანსვაალი, აღმოსავლეთი კონცხი და ნარინჯის თარხანი სახელმწიფო განუდგა ლიანგს და პროვინციათაშორისი შეჯიბრების – ქარრის თასის გათამაშების ფარგლებში ცალკე ლიგა მოიწყო, რათა საერთაშორისო ტურნეების უქონლობით გამოწვეული ფინანსური ზარალი გაცხოველებული საშინაო შეჯიბრებით აენაზღაურებინა.

მერე და მერე დე კლერკ – მანდელას გარიგებამ თავისი ჰქნა. სამხრეთი აფრიკა დაუბრუნდა მსოფლიო სარბიელს. რაგბის გამთლიანება 1991 წლის 8 დეკემბერს გამოცხადდა, რის აღსანიშნავადაც რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) 1992 წლის 14 აპრილს კრეივენს ძლვენი მიართვა – 1995 წლისთვის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა სამხრეთ აფრიკას დაეკისრა.

## რთული ადაპტაცია

„ქურციკების" დაბრუნებას სარაგბო სამყარო ისევე შეეგება, როგორც ვთქვათ და საფეხბურთო თემი უსამართლოდ მოკვეთილი ბრაზილიის შემორიგებას შეხვდებოდა. ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ აღარ დაახანეს და შარშან აგვისტოში „ტყუპი ტურნეები" გამართეს – სამხრეთ აფრიკას ერთი კვირის შუალედით ეწვივნენ, ერთად ცხრავე თამაშიც მოიგეს, მათ შორის – თითო ტესტი: ახალმა ზელანდიამ იოჰანესბურგში 27:24, ავსტრალიამ – კეიპტაუნში 26:3.

შემოდგომაზე „ქურციკები" ევროპას ეწვივნენ; საფრანგეთში 9 თამაში გამართეს, ინგლისში – ოთხი. საფრანგეთში ტესტ-სერია 1-1 დამთავრდა: სტუმრებმა გაიმარჯვეს ლიონში 20:15, მასპინძლებმა – პარიზში 29:16. ინგლისში „ქურციკებმა" „მხოლო ტესტი" გამართეს – თვიქნემში წააგეს ინგლისთან 16:33. ერთი სიტყვით, საერთაშორისო არენაზე დაბრუნების შემდეგ პირველსავე სეზონში სამხრეთაფრიკელებმა ხუთი ტესტიდან ერთი მოიგეს და ოთხი წააგეს, რაც სულაც არ იყო გასაკვირი, ვინაიდან „ქურციკებს" მეტოქეებად მსოფლიოს უძლიერესი გუნდები ჰყავდათ. გარდა მაგისა, ტურნეებით გატაცებულ რაგბის მამებს ზანგი სპორტის მუშაკი მლულიკი ჯორჯიც გადაეკიდათ, აქაო და ტურნეების მოწყობისა და ხაზინის შევსებისათვის უფრო ზრუნავთ, ვიდრე ზანგებს შორის რაგბის გავრცელებისთვისო. ამაოდ იფიცებოდა ქვეყნის ახალი რაგბის კავშირი, ტურნეებიდან შემოსული ფული სწორედ ქვეყნის შიგნით რაგბის გასავითარებლად გვჭირდებაო.

საერთაშორისო სარბიელზე „ქურციკების" ადაპტაცია წელსაც გრძელდება. ნაკრებს გამოეთხოვა ორი 34 წლის ვარსკვლავი: გარე ნახევარმცველი ნაას ბოთა (ჩრდ. ტრანსვაალი) და შუამარბი დანი ჰერბერი (დას. კონცხი). შეიცვალა ნაკრების მწვრთნელიც – ჯონ უილიამსის (ჩრდ. ტრანსვაალი) მაგივრად პოსტი ერთობ მოკრძალებულმა და თავმდაბალმა იან მაკინტოშმა (ნატალი) დაიჭირა. როგორც ამას ერთ ინტერვიუში უთქვამს, „ქურციკების" მწვრთნელობა მისთვის ისეთი დიდი პატივი ყოფილა, რომ წინათ თურმე გულშიც არ გაუვლია.

## მსუნაგი ბურები

სამხრეთაფრიკელებს ისე გაუტკბათ ტურნეობანა, რომ ქარრის თასისთვის აღარა სცხელათ – ტურნეების სეზონის დამთავრებამდე „ქურციკებს" ამ შეჯიბრების თამაშები უცდებათ. ამის გარდა, ისევ და ისევ მსუნაგი ბურების წინადადებით წყნარი ოკეანის ქვეყნების პროვინციათა ჩემპიონატი მათს ქვეყანასაც გადმოსწვდა და წლევანდელიდან Super Ten („ზეათის") სერიად გადაკეთდა. გამარჯვებაცა და ხეირიც, რაღა თქმა უნდა, ბურებს დარჩათ: სერიის ფინალში იოჰანესბურგის „ელის პარკზე" ტრანსვაალმა სძლია ახალი ზელანდიის ოკლენდს 20:17.

ჩათავდა „ზე-ათის სერია" და სამხრეთ აფრიკას ხუთი ერის ჩემპიონი საფრანგეთი ეწვია. ზანგი სპორტის მუშაკების გულის მოსაგებად ცბიერმა ფრანგებმა, უთუოდ მასპინძლების ჩაგონებით, ჩამოსვლისთანავე პორტ-ელიზაბეტის გარეუბან ატკოკს მიაშურეს და 200 ზანგ ბავშვს საჩვენებელი ვარჯიში გაუმართეს. აი, მერე კი გასკდა ტურნე, რომლის მეორე შეხვედრის მე-11 წუთზეც ფრანგების კაპიტანი „ჟეჟ" ტორდო მოედნიდან გაიყვანეს და სახეზე 52 (!) ნაკერი დაადეს. ვიდეო-გამოძიებამ ცხადყო, რომ დასავლეთ კონცხის კაპიტანს, ბურჯ გარი პეიგელს მეტოქე განზრახ დაეწიხლა. ტორდო შინ გასაგზავნი შეიქნა, პეიგელს კი მანამდე არნახული სასჯელი – ერთნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია დააკისრეს. უილბლო დამნაშავემ სასამართლოში იჩივლა – აქაო და მედიის მიერ შთაგონებული ისტერიის მსხვერპლი შევიქენ, ჩემი „ქურციკი" მოძმეების სისასტიკის ვისირის ნაცვლად ვეგნერსა და სტრაიდომს უხმო. იოჰანესბურგის ტესტის წინ ისტერიამ იმატა: ცხადი გახდა, რომ ბურები ვეღარ აიტანდნენ ამდენ წარუმატებლობას; მედია გუნდს რაგინდარა ხერხით გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა.

სულ ტყუილად. მართალია, „ელის პარკზე", სადაც 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალიც უნდა გაიმართოს, „ქურციკები" მალევე წინ გაიჭრნენ 8:0, მაგრამ ფრანსუერმა კენოსა (10) და ლაკრუას (12) [illegible] მაინც მოიგეს ერთი ქულით. კულმინაციური [illegible] თამაშის ბოლო წუთს, როცა ვან რენსბურგის [illegible] საჯარიმოდან დარტყმული ბურთი კარს ოდნავ ასცდა. აქვე შევნიშნოთ, რომ ეს იყო პირველი ტესტი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში პროჟექტორების შუქზე გაიმართა.

ერთი სიტყვით, „ქურციკებმა" კიდევ ერთი ტესტ-სერია წააგეს, მაგრამ იმავე მაკინტოშისა და მენეჯერ იან ენგელბრეხტის წინამძღოლობით იოჰანესბურგის მარცხიდან სულ ერთი კვირის თავზე ავსტრალიას გაემგზავრნენ.



„ქურციკთა" თათბირი შესვენებისას

## დვაიერის გასაჭირი

ავსტრალიელები „ქურციკებს" შეჭირვებულნი დახვდნენ. ეტყობა, მართალი იყო მათი რაგბის კავშირი, როცა გამოაცხადა, რომ 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანს მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც სამზადისის პერიოდში შინ ითამაშებენ. ამან მსოფლიოს მოწინავე მელელოვე დევიდ კემპიზი და კომპანია აალელვა, რაკილა ამით იტალიის ფსევდო-სამოყვარულო კლუბებთან სარფიანი კონტრაქტები ხელიდან ეცლებოდათ. არადა, სეზონებს შორის დასვენების ნაცვლად იტალიის სერია „ა"-ში თამაშმა „ვოლაბებს" ტრავმების გამო ჯერ ფრთის მორკინალი ვილი ოფენგაუე დააკარგვინა, მერე კი მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მოთამაშე – მაიკლ ლაინაფი.

კემპიზი მილანის „მედიოლანუმ ამატორიდან" („მოყვარულებიდან") შინ გადაღლილი დაბრუნდა და მშობლიური კლუბის – სიდნეის „რენდვიქის" ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა. მიუხედავად ამისა, „ვოლაბების" მწვრთნელმა ბობ დვაიერმა „კამპო" მაინც ათამაშა 4 ივლისს, ბრისბენში, ტონგას წინააღმდეგ. ავსტრალიამ 52:14 მოიგო, კემპიზმ ორი ლელო გაიტანა, რითაც 54 ლელო გაუხდა.

ტონგასთან თამაშმა დვაიერს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა: თითქოს ოფენგაუესა და დერუფნის მომგები აყლაყუდა ილზის ტრავმები არ კმაროდა, 9 ნომერმა სლეტერიმ ნეკნები მოიტეხა და ნაკრებს კარგა ხნით გამოაკლდა. დვაიერსაც რაღა დარჩენოდა: ადგა და დახმარება ლეგენდარულ ნიკ ფარ-ჯოუნზს სთხოვა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონთა კაპიტანიც იყო და რიგიანი ვექილიცაა, რის გამოც შარშან სამხრეთ აფრიკის სტუმრად ძლევის შემდეგ მოუცლელობის გამო ნაკრებში თამაშს თავი დაანება და მემკვიდრედ სლეტერი დატოვა.

ფარ-ჯოუნზი ეთათბირა ოჯახს და ის იყო, დიდ რაგბიში დროებით დაბრუნებას დაყაბულდა, რომ ახლა მის ძველ მეწყვილეს, 10 ნომერ ლაინაფს შეეყარა ჭირი – იტალიაში თიაქარნაოპერაციევს სენმა შეახსენა თავი. ლაინაფი პირდაპირ ვარჯიშიდან გააქანეს საავადმყოფოში და თამაში მინიმუმ ერთი თვით აუკრძალეს.

ამასობაში მოახლოვდა თამაშთა თამაში – ყოველწლიური ტესტი (ან ტესტ-სერია) ახალ ზელანდიასთან 1931 წელს დაწესებული „ბლედისლოუს თასისთვის".

17 ივლისი. დანიდინი (ოტაგო). „კარისბრუკ პარკი". მხოლო ტესტი. 40 ათასი დამსწრე

ახალი ზელანდია 25 (9) ავსტრალია 10 (3). ახალი ზელანდია: 2ლ (ფითსპატრიკი, ბანსი), 5ს (ფოქსი); ავსტრალია: ლ (ჰორანი), გ(კელეჰერი), ს (კელეჰერი)

დასუსტებული „ვოლაბები" მხოლოდ შესვენებამდე გაუმკლავდნენ „ოლ ბლექსს" და დაწინაურების შანსიც გაუშვეს ხელიდან – შუამარბ ჰორანს ბურთი ზედ მეტოქის ლელოსთან ხელიდან გაუვარდა. თამაშის განახლებისთანავე მასპინძლებმა ორი ლელო გაიტანეს და შარშან დაკარგული „ბლედისლოუს თასი" დაიბრუნეს.

## [illegible]

ამასობაში სამხრეთი აფრიკა უკვე ავსტრალიაში მოგზაურობდა და მეტოქეებს პანტა-პუნტით ამარცხებდა. საქმე ისაა, რომ ავსტრალიაში რაგბი ერთობ არათანაბრადაა განვითარებული: ძლიერები მხოლოდ ახალი სამხრეთი უელსი და ქვინზლენდი არიან, სხვა შტატები კი მათ საგრძნობლად ჩამოუვარდებიან. ასეა თუ ისე, მათი მწირი ხაზინის შესავსებად სუსტ შტატებსაც სისტემატურად აკისრებენ ტურნეზე ჩამოსული გუნდების მასპინძლობას.

„ქურციკებმა" იოლად „გალახეს" დასავლეთი ავსტრალია 71:8 (პერტში), სამხრეთი ავსტრალიის წვეულთა გუნდი 90:3 (ადელაიდაში), ვიქტორია 78:3 (მელბურნში), მაგრამ სიდნეის „კონკორდ ოვალზე" წააგეს ახალ სამხრეთ უელსთან 28:29 (3ლ:4ლ). მასპინძელთაგან კემპიზმ შესანიშნავად ითამაშა. შემდეგ სტუმრებმა სძლიეს ახალი სამხრეთი უელსის პროვინციებს 41:7 (ორინჯში) და პირველ ტესტამდეც მიაღწიეს.

31 ივლისი. სიდნეი. „ფუტბოლ სტეიდიუმი". პირველი ტესტი

ავსტრალია 12 (9) სამხრეთი აფრიკა 19 (14). ავსტრალია: 4ს (რობაკი); სამხრეთი აფრიკა: 3ლ (მულერი, სმოლი - 2), 2გ (ვან რენსბერგი)

თამაშამდე „ქურციკების" კაპიტანმა, 24 წლის ტრანსვაალელმა ფრთის მორკინალმა ფრანსუა პინარმა მასპინძლებს ბრალი დასდო, ახალი სამხრეთი უელსის გუნდი ჩემზე ნადირობდაო. ასე იყო თუ ისე, პინარმა სიდნეის ტესტში გადასარევად ითამაშა – სადაც ბურთი იყო, იქ იყო პინარიც, და ერთთავად მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევას ესწრაფვოდა.

„ვოლაბებმა" ფარ-ჯოუნზის წინამძღოლობით თავიდან კარგადააწყვეს თამაში და 9:0 დაწინაურდნენ, მაგრამ 30-ე წუთზე თავქარიანმა კემპიზმ ვერ აიღო გაგორებული ბურთი და შუამარბმა მულერმა ლელო გაუტანა. მე-40 წუთზე კარგი შეტევის ბოლოს დიუპრეზ (9) სმოლი (14) დროულად შენიშნა და „ქურციკებიც" 5 ქულით დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ „ვოლაბებმა" შეუტიეს, მაგრამ „ქურციკთა" უკანა ხაზმა დიდებულად დაიცვა ლელო. 74-ე წუთზე, როცა ანგარიში 12:14 იყო, „ქურციკების" ერთ-ერთი შეტევისას ჟოელ სტრანსკიმ (10) ბურთი მასპინძელთა ლელოსკენ გააგორა და სმოლმაც გადამწყვეტი ლელო გაიტანა. „ქურციკებმა" ისტორიული თამაში მოიგეს, მაგრამ ვან რენსბერგსაც (15) თიაქარი გაუმიზეზდა და ამიერიდან ტურნეზე მას შინიდან გამოძახებული ანდრე ჟუბერი შეცვლის.

ზაალ გიგინეიშვილი

### საფრანგეთი სამხრეთ აფრიკაში

| | თარიღი | | | საფრანგეთი | | | | | მეტოქე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | ოთხ | 9 | VI | 18 | . | . | . | . | ალმ. კონცხი | 8 | . | . | . | . |
| II | შაბ | 12 | VI | 12 | | | 4ს | | დას. კონცხი | 6 | | | 2ს | |
| III | სამ | 15 | VI | 22 | . | . | . | . | სამხ. აფრიკა „ბ" | 35 | . | . | . | . |
| IV | შაბ | 19 | VI | 22 | 3ლ | 2გ | ს | | ნარინჯი | 22 | ლ | გ | 5ს | |
| V | სამ | 22 | VI | 19 | ლ | გ | 4ს | | ჩრდ. ტრანსვაალი | 38 | 2ლ | 2გ | 8ს | |
| VI | შაბ | 26 | VI | 20 | ლ | | 3ს | 2ა | „ქურციკები" | 20 | ლ | | 5ს | |
| VII | სამ | 29 | VI | 38 | 4ლ | 3გ | 4ს | | ახალგ. ნაკრები | 13 | 2ლ | | ს | |
| VIII | შაბ | 3 | VII | 18 | | | 4ს | 2ა | „ქურციკები" | 17 | ლ | | 4ს | |

სულ: 8 თამაში; 4 მოგება, 2 ფრე, 2 ნაგება; ბურთები 169-159

ტესტ-სერია: 1-0(1 ფრე), ბურთები 38-37, ლელოები 1-2



# სარბიელი

## და

## ფირმა "CROCO"

# ტოტალიზატორი

**13 აგვისტოდან განახლდება ფსონების მიღება**

შეგახსენებთ თამაშის წესებს:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგ... კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრ... ტ ...ადგენს. (მაგალითად, თუ თქვენ ფსონი გააკეთეთ ერთდროულად ოთხ... ზე და ივარაუდეთ „ვერდერის", არგენტინის, ეკვადორისა და ბრაზ... ...ლ გამარჯვება, თქვენი ვარიანტის გამართლების შემთხვევაში მიიღე... კოეფიციენტი 95,3 (3,7 X 1,8 X 5,3 X 2,7). ასეთ შემთხვევაში ყოველ ...დებულ ათას მანეთზე მიიღებთ 95 300 მანეთს).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე.

**უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:**

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 აგვისტო | აინტრახტი – ვერდერი | 1,8 | 1,8 | 3,7 |
| | ლევერკუზენი – ბაიერნი | 2,2 | 2,7 | 1,8 |
| 15 აგვისტო | კოლუმბია – არგენტინა | 4,4 | 1,7 | 1,8 |
| | პარაგვაი – პერუ | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | ბოლივია – ეკვადორი | 1,2 | 3,1 | 5,3 |
| | ურუგვაი – ბრაზილია | 2,5 | 1,7 | 2,7 |

## შედეგთა დაფა

### მშვილდოსნობა

საქართველოს ... ...ჯი. თბილისი. 26-31 ივლის... ...ოლიმპიური წრე". ქალები: 1. ... ტალახაძე — ფინალში 99 ქულა (მეოთხედფინალში დაამარცხა ხათუნა ქერივიშვილი); 2. ლელა თოფურია — 97; 3. ხათუნა ნარიმანიძე (სამივე თბილისი) — 97. მეოთხედფინალში საქართველოს რეკორდი დაამყარა ასმათ დიასამიძემ — 99 ქულა. კაცები: 1. თამაზ ბასილაძე (ბათუმი) — 104 (მეოთხედფინალში საქართველოს რეკორდი დაამყარა — 107 ქულა); 2. სერგო ბერიძე — 95; 3. თემურ დავითაშვილი — 84; 4. სერგო გათიკაევი (სამივე თბილისი)

### კალათბურთი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის (21 წლამდე) შესარჩევი ტურნირი. უნგრეთი. 27-31 ივლისი. საქართველოს ნაკრები დამარცხდა უნგრეთთან — 69:101, გერმანიასთან 40:84, რუსეთთან 67:119, მოუგო შვედეთს 79:72. ფინალურ ტურნირში, რომელიც გაისად გაიმართება, გავიდნენ რუსეთი (4 მოგება) და გერმანია (3). ვერ გავიდნენ: უნგრეთი (2), საქართველო (1), შვედეთი (0)

### რაგბი

სამხრეთ აფრიკის ტურნე ავსტრალიაში: მეშვიდე თამაში. 4 VIII. კანბერა. დედაქალაქის ოლქი — „ქურციკები" 10:57 (:7ლ). რიის ედვარდსი (15) — 22 ქულა, ვან დერ ვესტჰაიზენი (9) და უილიამსი (14, ერთადერთი ზანგი „ქურციკი") — 2-2 ლელო

რუსეთის პირველი ლია ჩემპიონატი შეიდკაცაში. 31 VII-1 VIII. ხიმკი (მოსკოვის ოლქი). ფინალი: სსა (მონინო) — „ზვეზდა" (ტაშკენტი) 26:3; მცირე ფინალი: „ვაირასი" (შიაულიაი, ლიტვა) — „ვემ" (პენზა) 7:5

### სროლა

ევროპის ჩემპიონატი. ბრნო (ჩეხეთი). 4 აგვისტო. ქალები. სტანდარტული შაშხანა: 1. ვესელა ლეჩევა (ბულგარეთი); 2. ანა მალუხინა (რუსეთი); 3. საბინა ფუხსი (გერმანია). მცირეკალიბრიანი შაშხანა (წოლელა): 1. ლესია ლესკე (უკრაინა) 596; 2. მალუხინა 594; 3, ირინა შილოვა (ბელორუსია) 593. სასტენდო სროლა დუპლეტებით (ახალი ოლიმპიური სახეობაა): 1. სატუ პუსილა (ფინეთი) 137; 2. დებორა ჯელიზი (იტალია) 132; 3. ანა-მარია ჯოვანი (იტალია) 128

### ფრენბურთი

სან-პაულუ. საჩვენებელი თამაში. ბრაზილია (მსოფლიო ლიგის გამარჯვებული) — დანარჩენი მსოფლიო (რუსეთი, იტალია, კუბა, აშშ, პოლანდია და იაპონია) 1:3

### ჭადრაკი

კაცთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების წილისყრა: გელფანდი (ბელორუსია) — ადამსი (ინგლისი), სალოვი (რუსეთი) — ხალიფმანი (რუსეთი), კრამნიკი (რუსეთი) — იუდასინი (ისრაელი), იუსუპოვი (გერმანია და რუსეთი) — ანანდი (ინდოეთი), კამსკი (აშშ) — ვან დერ სტერენი (პოლანდია), ლოტიე (საფრანგეთი) — კარპოვ(რუსეთი)-ტიმანს (პოლანდია) შორის დამარცხებული

# მურმანის ეკალივით

იყო დრო, მძლეოსნებს მოყვარულობა ეამაყებოდათ. მძლეოსნობის მსოფლიო გაერთიანებას დღესაც IAAF — სიტყვასიტყვით „სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია" ჰქვია.

მაგრამ ერთია სიტყვები და საქმე კი სულ სხვა. კარგა ხანია, მძლეოსნები ყოველი გამარჯვებისთვისა თუ რეკორდისათვის ჯიბეში გვარიან თანხას ჩაიჩხრიალებენ ხოლმე და არც პირად სპონსორებთან სარფიანი კონტრაქტების გაფორმებას თაკილობენ.

ნათქვამია, „მადა ჭამაში მოდისო" და ერთ დროს მოყვარულები ამდენმა ფულმა ისე გააზულუქა, რომ როცა ერთმა უდიდესთაგანმა სპორტულ მაფიოზოთა შორის, ИААФ-ის „მამამ", იტალიელმა პრიმო ნებიოლომ, არვინ უწყის, ვისთვის თვალის ასახვევად, ანაც რა მოსაზრებით მოისურვა, რომ შტუტგარტის მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებულებს ოდენ მედლები, ტიტულები და ახალთახალი „მერსედესები" ეკმარათ, ლამის იყო, მთელი სამძლეოსნო საძმო აჯანყდა მეჭოკე ბუბკას „თამადობით": ფული მოგვეთ, თორემ მსოფლიო პირველობას ჩაგიშლითო!

ნებიოლოსაც რაღა დარჩენოდა — დაჰყვა მეამბოხეთა ნებას და ეროვნულ ფედერაციებს უფლება მისცა, თავადვე გამოეძებნათ სპონსორები წარჩინებულთა დასასაჩუქრებლად.

ციურიხის "მსოფლიო კლასის შეჯიბრების" ორგანიზატორს ანდრეას ბრუგერს ნებიოლოსავით ფარისევლობა როდი დაუწყია — პირდაპირ გამოაცხადა, „მსოფლიოში 'უმდიდრეს მძლეოსნურ ღონისძიებას ვატარებ და საპრიზო ფონდში 3,2 მილიონ დოლარს ვდებო. გარდა მაგისა, კილოგრამიან ოქროს ზოდს ვუძღვნი ყველას, ვინც მსოფლიოს რეკორდს გააუმჯობესებსო".

სპონსორის სიუხვეს ვარსკვლავთა ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა. გუშინწინ ციურიხში ბარსელონის ოლიმპიადის 24 მედალოსანი და ტოკიოს მსოფლიო პირველობის 17 გამარჯვებული მოგროვდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა კაცთა ასმეტრიანი გარბენი. შეიკრიბა ბრწყინვალე შემადგენლობა: ამერიკელი კარლ ლუისი, რომელიც მრავალგზის (!) ოლიმპიური ჩემპიონი ხომ არის და არის მძლეოსნობის ოთხ სახეობაში, ამჟამად კი ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენია; ბრიტანელი ლინფორდ კრისტი, ბარსელონის ოლიმპიადის გამარჯვებული; ასევე ამერიკელები — ჯონ დრამონდი და ონდრეი კეისონი, რომელსაც წელს მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო შედეგი აქვს; დაბოლოს, ნამიბიელი ფრანკი ფრედრიქსი, ბარსელონის ოლიმპიადის ორგზის ვერცხლის მედალოსანი სპრინტერულ დისტანციებზე.

ბრწყინვალე ხუთეული კი შეიკრიბა, მაგრამ ყველას მაინც ლუის — კრისტის შეჯიბრის პერსპექტივა ხიბლავდა. საქმე ის არის, რომ სულ ბოლო დრომდე ეს ორი სპრინტერი ყოველგვარი საბაბის მოშველიებით გაურბოდა შეხვედრას. მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია, „თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო!"



...იდმა ფულმა — სულ ... 100 ათსმა გირვანქამ ერთხელ ... ერთსა და იმავე ასპარეზზე ლუისიცა და კრისტიც. ეს წინა პარასკევს, ჩრდილოეთ ინგლისის ქალაქ გეითსჰედში მოხდა. (წამები და მეასედები იხ. წინა „სარბიელის" შედეგთა დაფაში).

ინგლისელმა მასპინძლებმა წინდახედულება გამოიჩინეს და 100 მეტრის სირბილზე უარი უთხრეს ამერიკელ ლეროი ბარელს — ეტყობა შიშობდნენ, შეგულვებულ დუელში არ ჩაერიოსო. ბარელმა 200 მეტრზე იასპარეზა, მაგრამ ორგანიზატორთა სიფრთხილე ამაო გამოდგა — გამარჯვებულ კრისტისა და ჩამორჩენილ ლუისს შორის დრამონდი ჩადგა.

რაც შეეხება ციურიხის შეჯიბრებას, იქ კრისტი — ლუისის დუელს კიდევ ერთი დეტალი ამკობდა. საქმე ისაა, რომ წელს „დიდი პრიზის" პროგრამაში გამოიყო ოთხი შეჯიბრება — ოსლოში, ციურიხში, ბრიუსელსა და ბერლინში — და „ოქროს ოთხეულად" მოინათლა. თუკი მძლეოსანი ოთხივე ამ შეჯიბრებას მოიგებს, ოცი (!) კილოგრამი ოქროთი დაჯილდოვდება. კრისტის უკვე მოგებული ჰქონდა 100 მეტრი ოსლოში და თუ ამდენი ოქროს დაუნჯება ეწადა, უსიკვდილოდ უნდა გაემარჯვნა.

კრისტიმ (ფოტოზე ხელებგაშლილმა) აჯობა ლუისს, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. ლუისმა მეოთხე ადგილი დაიკავა, კრისტისა და ლუისს შორის ისევ დრამონდი გამოეჩხირა, პირველი ადგილი კი დაიკავა ლეროი ბარელმა (ფოტოზე პროფილში), რომელიც თავიდან ერთგვარად უჩინრად იყო და მხოლოდ ზედ ფინიშზე დაწინაურდა — 10,02 წამია მისი შედეგი. აკი ბარელი ჩვენც გამოგვრჩა ციურიხის შეჯიბრების ვარსკვლავთა ზემოთმოყვანილ ჩამონათვალში!

## აქეთური, იქითური

უნგრელი მოცურავეები წარმატებით ასპარეზობენ ინგლისის ქალაქ შეფილდში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. მიუხედავად ამისა, მათი განწყობილება მაინც მინორულია, რაკიღა უნგრეთის წყალჩომარდობის ფედერაციის ხაზინადარი დიორდ ზემპლენიი სადღაც გადაიკარგა და ფედერაციის სალაროდან ხელს გააყოლა 7,5 მილიონი დოლარი, ამ თანხის უქონლად კი ფედერაციას ალბათ გაუჭირდება გამარჯვებულთა დაჯილდოება. ხაზინადარის გაუჩინარების საკითხს პოლიცია იძიებს.

*

საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედარაციამ (ფისა) ორშაბათს დაადგინა, რომ ფორმულა 1-ის წლევანდელი გათამაშების ბოლომდე არ აკრძალოს მანქანებზე ე.წ. აქტიური დაკიდების დამონტაჟება. ამ ერთობ მძლავრი ტექნიკური სიახლის გამოყენება, მისი სიძვირის გამო, დღემდე მხოლოდ ერთ-ორ შეძლებულ გუნდს, მაგალითად „უილიამსს" თუ ხელეწიფება, რის გამოც შეჯიბრებამ აზრი თითქმის დაკარგა. მიუხედავად ამისა, „უილიამსის" დაჟინებულმა მოთხოვნამ და მუქარამ — მცირე დროში მანქანების გადაკეთებას ვერ მოვასწრებთ და წლევანდელ გათამაშებას მივატოვებთო, ფისა აიძულა აკრძალვა საგაისოდ გადაედო.

*

კენიის მძლეოსნობის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, რომ 5 ათას მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონი და 10 ათას მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი იუბეს ომბიეკი აღარ გამოიყვანონ შტუტგარტში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე 10 ათას მეტრიან დისტანციაზე. მიზეზი ისაა, რომ ომბიეკის განუცხადებია, „ისედაც უძლიერესი ვარ და საშინაო შესარჩევ შეჯიბრებაში რაღად ჩავებაო". დიდგულა სტაიერს შეცვლის კროსში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი უილიამ სიგაი, რომელმაც ნაკრების ხელმძღვანელობას იმდენი პატივი კი დასდო, რომ შესარჩევ შეჯიბრებაში იასპარეზა; თუმცა 10 ათასი მეტრი 20 წრის მერე მიატოვა (სულ 25 წრე უნდა გაერბინა).

*

ნიუ-იორკის აუქციონზე სარეკორდო თანხად — 173 მილიონ დოლარად გაიყიდა პროფესიონალ კალათბურთელთა გუნდი „ბალტიმორ ორეოლსი". იგი შეიძინა საინვესტიციო ჯგუფმა, რომელშიც ცნობილი ჩოგბურთელი ქალი პამელა შრაივერიც შედის. ყიდვა-გაყიდვის შარშან დამყარებული საკალათბურთო რეკორდი ერთბაშად 48 მილიონი დოლარით გაუმჯობესდა.

*

ახალი ზელანდიის ღია ჩემპიონატზე სქვოშში (ჩოგბურთის მსგავსი თამაშია, ოღონდაც გამჭვირვალე მინის ოთახში იმართება) ჰონკონგელმა ენდრიუ შუმმა, რომელიც ზედიზედ მესამე ხელს აგებდა, ჩოგანი უთავაზა მეტოქეს. ცთომილი მყის გონს მოეგო, ბოდიშიც სასწრაფოდ მოიხადა, მაგრამ მსაჯმა დამნაშავის დისკვალიფიკაცია აღარ გადათქვა.

*

საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა სპიდვეის ცნობილი რუსი ვეტერანი გაბდრახმან ყადიროვი. ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი, ვინაც სპორტული კარიერის მანძილზე უამრავჯერ მოხვედრილა მოტოციკლთა ხერგილებში და ყოველთვის უვნებლად გადარჩენილა, შინ, სადარბაზოში დაეცა, თავის ქალა დაიშავა და საავადმყოფოში დალია სული.

*

ოთხშაბათს, დღის 11 საათზე, ოთხი რუსი და ორი ჩრდილოკავკასიელი ალპინისტი პარაშუტებით დაეშვა იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 5621 მეტრია. რუს შერეკილთა სხვა ჯგუფი ძალლებშებმული ეტლებით აპირებს პამირში, კომუნიზმის პიკზე (7495მ) ასვლას. ექსპედიციას ზღვის დონიდან უკვე 6 300 მეტრამდე აუღწევია.

## აქეთური, იქითური


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მექველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)